რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 26 მაისი 1917 წ.

ერთობა

თანამედროვე აზრის გაგ ჟრძე

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ა სი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Т съ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 55 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 55

133
ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ღრმათ დამწუხრებულნი ეპიფანე ზაქარეიშვილი, ესტატე კუტალაძე და ანდრო კუტალაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ 21 მაისს ყვავილით გარდაიცვალა მათი საყვარელი ამხანაგი

ნესტორ ალმასხანის ძე კუტალაძე.

დაკრძალვა მოხდა 24 მაისს ქ. თფილისში წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ამა 1917 წ. მაისის 27-ს, დღით შაბათს დილის 12 საათზე, ქ. ბათუმში, ადგილობრივ სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

ტარიელ ვიტოს ძის თავართქილაძის,

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე კატო, შვილები: სევერიანე მეუღლით, აკაკი, ოტია, გალაქტიონი, გიგი, ნიკო, მინა მეუღლით და ნიტუშა, ძმები: ქიშვარდი, და ლადიკო მეუღლეებით; დები: ფოტინე და პუპი თავართქილაძეები. 2—1

შაბათს, 27 მაისს სოფ. ლიხაურში დავით და კონსტანტინეს ეკლესიაზედ დანიშნულია ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი ექიმ

იაკობ ალექსანდრეს ძის თაყაიშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მეუღლე ელენე ნიკოლოზის ასული და შვილები ნადეჟდა და ალექსანდრე და შვილის შვილი ქორა თაყაიშვილები.

სამტრედიის რ. ს.-დ. მ. პარტიის კომიტეტი

იწვევს მთელი რაიონის პარტიის წევრების **ყრილობას** კვირას, 28 მაისს, რკ. გზის კლუბში დილის 11 საათზე.

განსახილველია 1) კავკასიის პარტიულ სიეზდისთვის წამოყენებული კითხვები; 2) დელეგატების არჩევნები.

კომიტეტი სთხოვს საზოგადოების (სამტრედია, კულაში, ჭაგანი, ეწერი, ჯიხაიში, გახიზნებული, ტობანიერი და მეხაყრუა) კოლექტივებს, მოახდინონ ძირითადი ორგანიზაციების კრებები და გააცნონ მოხსენებული კითხვები, რათა რაიონულ საერთო ყრილობისთვის დამზადებულნი იყვნენ წევრები.

3—2 **სამტრედიის ს.-დ. რაიონის კომიტეტი.**

თფ. ორგანიზაციის რ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონულ კოლექტივის

ბიურო სთხოვს ამხანაგებს, ვისაც წაღებული აქვს **ჩეკები**, საწევრო ფულის გადასახადისა, საჩქაროთ წარმოადგინონ ბიუროში, ვინაიდან საჭიროა რეგისტრაცია პარტიის წევრებისა, მომავალ თათბირზე მონაწილეობის მისაღებათ.

თფილისის ორგანიზაციის რ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ პარასკევს, 26 მაისს, საღამოს 6 საათზე ხარფუხის კლუბში (მიხაილოვის პროსპექტი)

ამხ. ნოე ხომერიკი წაიკითხავს ლექციას

აგრარულ საკითხზე. ქართულ ენაზე. 2—2

გამგეობა

კავკასიის საზოგადოების ექიმთა თანაშემწეების და ბებია ქალთა 1 ხარისხ. ამით სთხოვს ამხანაგებს—დაესწრონ საჩქაროთ მოწვეულ

საერთო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 28 ამა მაისს და შესდგება კავკასიის ექიმთა საზოგადოების დარბაზში. (ქ. თფილისი, ალექსანდრეს ბაღი). საღამოს 6 საათზე.

კრების მიზანი: წარმომადგენლის არჩევა ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოში გასაგზავნად და მიმდინარე საქმეების და კითხვების გარკვევა. გამგეობა. (2—2)

შაქარი

თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი აუწყებს ქალაქ თფილისის მცხოვრებთ, რომ ხშირი ბოროტ-მოქმედება, რომელიც აღმოჩნდა შაქრის ბარათებით გაცემის დროს აძულებს მას ივნისის ხვედრი შაქრის გაცემის დროს გულდასმით შეამოწმოს ოჯახის წევრთა რაოდენობა, რომლის სახელზედაც შაქარს ღებულობენ, ამ მიზნით დამზადებულია განსაკუთრებული ბლანკები განცხადებისა, რომლების მიღება შეიძლება საუბნო კომიტეტების კანცელარიებში, საქალაქო და კოოპერატიულ დუქნებში.

შევსებული ბლანკი, რომელშიდაც შეტანილი უნდა იქნეს ყველა ის პირები, რომლებიც ერთ ოჯახში ირიცხებიან, უნდა შეტანილ იქმნას იმავე პუნქტებში ბინის წიგნებთან შესამოწმებლათ.

შემოწმებული ბლანკებით, რომელშიდაც შესაფერი წარწერა იქნება აღნუსხული, შეიძლება **ივნისის ხვედრი შაქრის** მიღება კოოპერატიულსა და ქალ. სასურსათო დუქნებიდან.

ბლანკების მიცემა და განცხადებების შემოწმება აღნიშნულ პუნქტებში დაიწყება ორშაბათს, 29 მაისიდან, შაქრის მიცემა კი 1-ლ ივნისიდან.

ახალი შაქრის ბარათები მიეცემათ აღნიშნულ პუნქტებში მხოლოდ შემოწმებულ ბლანკებისა და განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

შაქრის ახალი ბარათების მიცემის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბინის წიგნებში ყალბი ცნობების შეტანისათვის, დამნაშავენი კანონიერათ დაისჯებიან.

თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

მანდილოსნებო და მამაკაცებო!

მცხოვრებნო ქ. თფილისისა.

თვე ნახევრის შემდეგ ჩვენ ქალაქში მოხდება ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები. ახალი საარჩევნო კანონით, რომელიც რევოლუციის შემდეგ გამოიცა, ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ორივე სქესის მცხოვრებთ, როგორც კაცებს ისე ქალებს, რომელიც ხნოვანობით ოცი წლისანი არიან და აგრეთვე ქალაქში მცხოვრებ ჯარის კაცებს. ჯარის კაცების გარდა ქალაქში 200.000 ასეთი პირი იქნება. რომ არჩევნები წესიერი იყოს და არავინ დაჰკარგოს თავის საარჩევნო უფლება, საჭიროა ყოველ ამომრჩეველს განსაკუთრებული ბარათი ჰქონდეს, ხოლო ამისთვის კი საჭიროა შესდგეს ყველა პირთა სია, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვს. ამის გამო რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ქალაქში მოხდება **ამომრჩეველთა აღწერა.** რამდენიმე ასი გადამწერი, რომელთაც საგანგებო მოწმობა ექნებათ, შემოივლიან ქალაქში ყველა სახლების და საცხოვრებელ ბინების და საგანგებო ფურცლებზე აღწერენ ამ ბინებზე მცხოვრებ ამომრჩევლებს. ჩვენ ვითხოვთ სრულის ნდობით მოეპყრათ ასეთ პირებს და მისცეთ მათ საჭირო ცნობები. ამით თქვენ საშუალებას მისცემთ თავის თავს ისარგებლოთ უფლებით ხმოსნების არჩევნებით და მით შეასრულებთ თქვენს მოქალაქობრივ მოვალეობას.

მოგმართავთ მოქალაქენო და გთხოვთ დაგვეხმაროთ საარჩევნო მუშაობაში, მოგვაწოდოთ საჭირო ცნობა და თქვენ ნაცნობებსაც აუხსნათ ამ აღწერის მნიშვნელობა. ვსთხოვეთ ყველა მოქალაქეთ, რომელნიც ოცი წლისაზე მეტი არიან, წინდაწინ მოამზადონ შემდეგი ცნობები: სახელი, მამის სახელი, გვარი, სქესი და ხნოვანობა, აგრეთვე სრული დრესი—სახლის და ბინის ნომერი და სახლის პატრონის გვარი.

გახსოვდეთ რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ შემდეგ პირთ:

1) უმაღლესს მთავრობის წარმომადგენელთ, მილიციონერებს, ბერ-მონოზნებს, გიჟებს და ყრუ-მუნჯებს.

2) სასამართლოს მიერ უფლების შეზღუდვით ან ჩამორთმევით დასჯილებს—სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლის განმავლობაში, ქურდობისა, ავაზაკობისა ჩაბარებულ ქონების მითვისებისა, ნაპარევის შენახვისა, მოპარულ ნივთის დაგირავებისა, სიყალბისა, მექრთამეობისა ან ქრთამის მიცემისათვის დასჯილებს, აგრეთვე საარჩევნო უფლების წინააღმდეგ დანაშაულობისთვის დასჯილებს—სასჯელის მოხდის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში და სამეძაო სახლის პატრონებს.

3) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ.

4) და იმ პირთ, რომელნიც ოცი წლისაზე ნაკლები არიან.

საარჩევნო კომიტეტის ბიურო და ქ თფილისის გამგეობა

კვირას, 28 მაისს 1917 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების სასარგებლოდ სახალხო ბაღში გაიმართება დიდი სახალხო

სეირნობა ლატარია-ალეგრით.

წმინდა შემოსავლის 10% გადაიდება ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ. გასართობები ბავშვებისთვის და დიდებისთვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბოჭკა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები და სხვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. დასაწყისი დღის 12 ს. შესასვლელი ფასი დიდებისათვის 60 კ. მოწაფეთა და პატარებისათვის 35 კ.

ბათუმის პირველი რაიონის დროებითი კომიტეტი რ. ს.-დ. პარტიისა

ამით აცხადებს ამ რაიონში მოსამსახურე მსურველ ამხანაგების საყურადღებოთ, რომელნიც ჯერ კიდევ არ ჩაწერილან პარტიაში წევრებათ, რომ მათ შეუძლიათ მიმართონ ამხანაგებს და ჩაეწერონ შემდეგ ადგილას: 1) რკინის გზის დეპოში—ამხ. სიმაევთან, 2) „რემონტ“ში და „დეჟურნია“ში—ამხ. ს. სადრაძე და ყ. ჩხიკვაძესთან, 3) ნობელის ქარხანაში—ამხ. ლევაშკევიჩთან, 4) პიტოევის ქარხანაში—ამხ. ზვერევთან, 5) რვეთის ჩამომსხმელ სადგურებში—ამხ. ვ. მაჩაიძესთან, 6) გოროდოკში—ამხ. პ. გიორგაძესთან და 7) ბარცხანაში—ი. ი. წულაძესთან.

ბათუმის პირველი რაიონის დროებითი კომიტეტი.

ფოთის ორგანიზაცია რ. ს.-დ. მ. პ-სა

ამით აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ კვირას 28 მაისს, 12 საათზე ნავთსადგურში (პორტი) დანიშნულია ყველა ყოფილ და ახლად მიღებულ ს.-დ. პარტიის

წევრების კრება.

სთხოვს წევრებს გამოცხადდენ დანიშნულ ალაგზე დანიშნულ დროს. წევრები 11 ნახევ. გამოცხადდებიან რკინის გზის სადგურზე საიდანაც სპეციალურ მატარებლით გაემგზავრებიან პორტში. იმავე დღეს მიიღება ახალი პარტიის წევრები.

თფილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის კოლექტივის ბიურო რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა, № 1). იქვე მიიღებიან წევრები დილის 10—12 საათამდე, საღამოს 4—7 საათ.

ახალი დაარსებული მცხეთის რაიონის, დუშეთის მაზრის სოც.-დ. ჯგუფი მოუწოდებს ყველა ამხანაგს ჩაეწერონ პარტიაში. მალე მოხდება დამფუძნებელი კრება, რომელიც აირჩევს დუშეთის მაზრის ს.-დ. კომიტეტს. მცხეთის რაიონის დუშეთის მაზრის სოც.-დემ. პარტიის ჯგუფი. მსურველთ შეუძლიათ წევრათ ჩაეწერონ შემდეგ პირებთან: დუშეთში მიშა კლიმიაშვილთან, მცხეთაში დ. ქიტუაშვილთან, გ. დეკანოზიშვილთან, ჯარის კაც ს. იმერლიშვილთან, ალ. კაპანაძესთან, შ. კობიაშვილთან, პ. გოგისვანიძესთან და დ. გურგენიძესთან (კარსანში).

კრონშტატში მომხდარ ამბების გამო.

კრონშტატში დამაფიქრებელი ამბები ხდება. დეპეშათა სააგენტოს ცნობით მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების სხდომაზე 210 ხმით 40 ხმის წინააღმდეგ გადაწყდა ხელში ჩაიგდონ ქალაქ კრონშტატის მართვა-გამგეობა, რადგან კრონშტატი არ ემორჩილება დროებით მთავრობას და მოითხოვეს დაუყონებლივ გაძევებული იქნან კრონშტატიდან დროებითი მთავრობის ყველა წარმომადგენლები. კრონშტატს სურს დროებითი მთავრობას გვერდი აუხვიოს და რუსეთთან, პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს საშუალებით იქონიოს დამოკიდებულება.

დასახელებული ქალაქის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს ასეთი დამოუკიდებელი გამოსვლა, ეჭვს გარეშეა, რევოლუციონურ ძალთა გათიშვას ნიშნავს. ასეთი ცალ-ცალკე გამოსვლა, ამა თუ იმ ქალაქების მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოების დამოუკიდებელი მოქმედება ეჭვს გარეშეა პროლეტარიატის რაზმების არევდარევას იწვევს და მის ორგანიზაციულ შეკავშირებას მეტის-მეტათ ხელს უშლის.

საზოგადოთ, განსაკუთრებით ამჟამათ რევოლუციონური მოძრაობა გაფართოებულ ორგანიზაციულ მოძრაობას მოითხოვს. რევოლუციის მოწყობა კი არა—ამბობდა ვილჰელმ ლიბკნეხტი—არამედ რევოლუციის მიერ მოპოებული თავისუფლების გარანტიების განტკიცება შეადგენს მთავარ მიზანს და ვინც რევოლუციის მიერ მოპოებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას განამტკიცებს, მას გაარღმავებს და ცხოვრებაში გაატარებს, სწორეთ მაშინ ითქმის, რომ რევოლუციონურმა მოძრაობამ გაიმარჯვა და უუფლებო ხალხს უფლებანი მიანიჭა.

რევოლუციის გარღმავება, რევოლუციის მიერ მოპოებულ თავისუფლების განტკიცება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ დიდ ორგანიზაციულ მუშაობას და დარაზმვას მოითხოვს. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას თანამედროვე მომენტში.

დღეს რევოლუციის მოწინავე რაზმათ მუშათა კლასი და ჯარი გამოვიდა. რაც დრო გადის ბურჟუაზიული ელემენტები ვეღარ ურიგდებიან ნამდვილ რევოლუციონური კლასების მოთხოვნებს.

თავისთავად საგულისხმოა, რომ ეკონომიურათ გაბატონებული კლასები მუშათა და ჯარის კაცთა რადიკალურ, ეკონომიურსა და პოლიტიკურ მოთხოვნებს ბოლომდის მხარს ვერ დაუჭერდენ და მათ შორის კონფლიკტი აუცილებელი იყო, ასეთი გათიშვა-გაყოფა უკვე ფაქტათ გადაიქცა და რევოლუციის პირველ ხანაში არსებული შეთანხმებული მოქმედება დაირღვა. ასეთ პირობებში კი რევოლუციონურ კლასებს მეტი შეკავშირება და შეგნება სჭირია.

ეჭვს გარეშეა ამ შემთხვევაში ბურჟუაზია უპირატესობით არის აღჭურვილი. მას ამ ათი წლის განმავლობაში მეტი დრო და საშუალება ქონდა კლასობრივათ გაწვრთნილიყო და შეკავშირებულიყო. მუშათა კლასი კი პირიქით შავბნელ რეაქციის მეოხებით ამავე ხნის განმავლობაში ისუსტდებოდა, მისი ყოველგვარი ორგანიზაციები ირღვეოდა და იგი რევოლუციას დარაზმული არ დახვედრია.

თვით წარმოების ურთიერთობაც ისე არის მოწყობილი, რომ მას რუსეთში არ შეუქნია ჯერ ჯერობით ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაერთიანებული მასსა, რომელიც თავისი საბოლოო მიზნისაკენ ერთსულოვნათ გაემართებოდა. აწმყო რევოლუციაში ფართო მასა უფრო, როგორც ლასალი იტყოდა, სწორი მასიური ინსტიქტით „ხელმძღვანელობს და მას საკმაო კლასიური შეგნება და ორგანიზაცია აკლია.

ასეთ პირობებში ზოგიერთ ხელმძღვანელთ შეუძლიან მუშათა ზოგიერთი ნაწილი აიყოლიონ და ნაჩქარევი ნაბიჯი გადაადგმევიონ, რაც ხელს შეუწყობს მუშათა ძალების დაქსაქსვას და რევოლუციის დაუძლურებას. აუცილებლათ საჭიროა მთელი პროლეტარიატის შეკავშირება. აქ გათიშვა რევოლუციის განსაცდელში ჩაყენება იქნება. მართლაც, კრონშტატი დამოუკიდებელ გზით მიდის და რუსეთის მუშებს არას ეკითხება. კონტრ-რევოლუციონერები შეკავშირებული გამოდიან, ხოლო დემოკრატია სხვადასხვა ქალაქში დამოუკიდებელი გზით მიდის. აი საფრთხოვო ნიადაგი მუშათა დამარცხებისა. საჭიროა მთელი რუსეთის მუშათა გაერთიანება და სხვა რევოლუციონურ წრეებთან შეთანხმება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება რევოლუციის განვითარება და დემოკრატიის გამარჯვების უზრუნველყოფა. კრონშტატის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოქმედება ამას ხელს უშლის. მუშათა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ასეთი გამოსვლები თავიდან აიცილონ და სანამ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრი არ შემდგარა, თავი მოიყარონ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გარშემო.

მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა

მოხდება შაბათს, 27 მაისს საღამოს სრულ 6 საათზე სახალხო სახლში.

დღის წესრიგი: 1. სახალხო მომრიგებელ სასამართლოს პროექტის განხილვა.
2. მინისტრ კონოვალოვის სამინისტროდან გასვლა.
3. აღმასრულებელ კომიტეტის წევრების გადარჩევა.

კრებაზე შესვლისთვის საჭირო საწევრო ბილეთები, ვისაც არ აუღია უნდა მიმართოს საბჭოს სეკრეტარიატში (სასახლეში).

აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო.

კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯი.

რუსეთის დიდი მემამულეები და ბანკების წარმომადგენლები კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯების გადადგმას შეუდგნენ. დიდმა რევოლიუციამ მემამულეებს ძლიერ დააფრთხო და დემოკრატიის მიერ მიწის საკითხის წამოყენებამ ლატიფუნდიების პატრონები საგონებელში ჩააგდო. ძველი რეჟიმის მოტრფიალეთ ყველაზე მეტათ დემოკრატიის ხმა: დიდი მამულების კონფისკაცია და ამ მამულების გლეხებზე გადაცემა,—გულში ლახვრათ ჩაეცათ და ესენიც „დროის შესაფერ“ ზომების მიღებას შეუდგნენ. რომ სრულიათ მშრალზე არ დარჩნენ უკანასკნელ საშვალებისათვის მიუმართავთ—რაც მიწა აბადიათ ბანკებში აგირავებენ. ბესარაბიის, ხერსონის და სხვა გუბერნიის მემამულეებს სხვა და სხვა საადგილო და საკრედიტო ბანკებში განცხადებები შეუტანიათ და მიწის გირაოთ რვა მილიონ მანეთს თხოულობენ. თვით ბანკის დირექტორებიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილან; მათ ბანკებს საგირავნო ფურცლები აღარ ყოფნით და იძულებულნი გამხდარან მთელი სესხის მაგიერ 15 პროც. მისცენ.

ასე მემამულეები და ბანკის ფინანსისტები თავიანთ ეკონომიური პრივილეგიების განმტკიცებას შეუდგნენ და მით რევოლიუციონერ ხალხის უდიდეს მოთხოვნას, მიწების კონფისკაციის საქმეს კონტრ-რევოლიუციონური ზომებით უპასუხებენ.

მაგრამ მათი ასეთი ნაბიჯი ახლა უფრო მოხერხებულია: ისინი ძველებურათ თავიანთ ეკონომიურ პრივილეგიებს, მიწათ მფლობელობის უპირატესობას არმიაზე და ბიუროკრატიაზე აღარ ამყარებენ, ვინაიდან ერთიც და მეორეც ძველი სახით გაქრა და მათ ხელიდან გამოეცალა. განსაკუთრებით ჯარი, რომელიც ძველი რეჟიმის ინტერესების მონა-მორჩილი იყო, დღეს საერთო რევოლიუციის ხანაში მუშათა კლას გვერდში ამოუდგა და გლეხკაცობიდან გამოსულმა არმიამ მიწების ჩამორთმევა მოითხოვა.

ახლა იგი პოლიტიკურ ძალას მოკლებული წმინდა ეკონომიურ გზით შეუდგა თავის დანგრეულ უფლების აღდგენას. მას როგორც ჩანს გვერდში ამოუდგა მსხვილი ფულის პატრონები, დიდი ბანკების პატრონები და ერთმანეთს დახმარებას უწევენ.

იპოტეკური და კრედიტული ბანკები მამულებს იგირავებენ და ამ გზით რევოლიუციის მთავარ მოთხოვნას ასამარებენ.

ყველამ კარგათ იცის, რომ რევოლიუციონური მუშათა კლასი და გლეხკაცობა მამულების კონფისკაციას მოითხოვს და ეს მამულები უფასოთ, გამოუსყიდველათ გლეხკაცობას უნდა გადაეცეს და რომ მემამულეებმა ზარალი არ ნახონ მამულებს აგირავებენ, მილიონობით ფულს იღებენ და ბანკების პატრონები კი ასეთი საგირაო ფურცლების გაცემით პროცენტების სახით მილიონებს ჩიჩქნავენ.

დღეს მსოფლიო ომის მეოხებით ბურჟუაზიულმა კლასებმა აურებელ ფულს თავი მოუყარეს; მათ ეს ფული ბანკებში დააბინავეს, წარმოებაში მათ საერთო კრიზისის გამო ვეღარ მოათავსეს, ვინაიდან მუშა-ხელისა და დასამუშავებელ მასალის ნაკლებობის გამო ხელსაყრელი არ იქნებოდა. ამიტომაც სპეკულიაციის მეოხებით მოგროვილმა კაპიტალმა თავი ბანკებში მოიყარა. აქ მოგროვდა არა მსხვილი კაპიტალისტების ფული, არამედ წვრილი მოვაჭრეებისა და გლეხკაცობის ფულიც. ბანკები ფულით გაიჭედა და იგი ტრიალებას ითხოულობდა. ბურჟუაზიამაც გამოსავალი უპოვნა: მსხვილ მამულებს იგირავებს და მათ აურებელ კრედიტს აძლევს.

თავისთავად საგულისხმოა ბანკებში დაგროვილ ფულის რევოლიუციაში დაინტერესებულია ყველა პაწია აქციის მქონე ესსერიც კი; ყველას უნდა მისი შეტანილი ფული უვნებლათ არ დაიკარგოს და მას შეტანილი ფული სარგებლის-სარგებლით დაუბრუნდეს. უკეთუ მამულების კონფისკაცია და უფასოთ გლეხებზე გადაცემა მოხდა, მაშინ ახლად დაგირავებულ მამულებზე გაცემული ფული უნდა დაიკარგოს და ამით მრავალი მსხვილი და წვრილი კაპიტალის პატრონები გაკოტრდეს.

ამ სახით მემამულეებისა და ბანკირების მამულების დაგირავების პროცესი ეკონომიურსა და პოლიტიკურ ნიადაგზე [illegible] ხალხს მოიმხრობს და მათ რევოლიუციონურ კლასების წინააღმდეგ ამხედრებს.

ეს გზა [illegible] მეტათ კონტრ-რევოლიუციონურია და ამით მემამულეები და ბურჟუაზიულ კლასები რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ, მაგრამ მათი ასეთი ნაბიჯი რევოლიუციონურ მუშათა კლასს და რევოლიუციონურ არმიას თავის მოთხოვნაზე ხელს ვერ აღებინებს და მემამულეებს მიწის კონფისკაციიდან ვერ იხსნიან.

პრესა.

სოციალისტურ ქურქში გახვეულმა ქართველმა ნაციონალისტებმა კვლავ განაახლეს სოც. დემოკრატიის წინააღმდეგ უმსგავსო გალაშქრება. კვლავ გამეფდა მათ პრესაში „ნიშადურის“ ტონი. გადაიკითხეთ გუშინდელი „სახალ. ფურც.“ და თქვენ თვით დარწმუნდებით. „პოგრომშჩიკები“, „ხულიგანები“, „ხუნხუზები“, „კონტრ-რევოლიუციონერები“, „უსინდისონი და უსირცხვილონი“—აი ამ და ამის მსგავსი ეპიტეტებით ამკობენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას!

ცხადია, ფედერალისტებმა რაღაც იყნოსეს ჰაერში. ცხადია, მათ იგრძნეს კონტრ რევოლიუციის მოახლოვება, რომ ისევ ძველებური სიმღერა ამოჰკიდეს. ჰგონიათ ალბათ, რომ დაუდგათ დრო, როცა ნაციონალისტების ქუჩაზე დღესასწაული უნდა დადგეს. თორემ რას მიეწერება ასეთი აღვირახსნილი პოლემიკა, ასეთი შავრაზმული სიტყვები, ამოკრეფილი ნეტარხსენებული „რუსკოე ზნამიას“ ლექსიკონიდან. ნუ თუ ესეც პოლემიკა და იდეიური ბრძოლაა?

რამ აიძულა ასე ჩვენი ფსევდო-სოციალისტები? რამ დაუკარგა მათ სულის სიმშვიდე?

„სახ. ფურცელმა“ მორიგი გამოსვლა გააკეთა რუსეთის დემოკრატიის წინააღმდეგ. მან წამოაყენა რა ნაციონალური კითხვა, თან დასძინა, რომ ბრძოლა მოგვიხდება არა მარტო რეაქციონერებსა და ლიბერალებთან, არამედ აგრეთვე დემოკრატიასთანაო. ეს შავათ თეთრზეა დაწერილი და რაც უნდა იტყუონ „სახალხოელებმა“, მას ვერ გააბათილებენ. ასე კითხვის დაყენება კი ნიშნავს დღევანდელ პირობებში დემოკრატიული ლაშქრის გათიშვას, დემოკრატიაში უნდობლობის ჩამოგდებას, კონტრ რევოლიუციის სამსახურს, რასაკვირველია უნებურს, გაზეთი გვითითებს უკრაინელებზე, მარა მას ავიწყდება, რომ უკრაინელების ამ პოლიტიკას დემოკრატია არ იზიარებს. მას მოყავს ზოგიერთ სოც. დემ. სახელები, მარა ავიწყდება, რომ ისინი თითოოროლა პირია და თვით უკრაინის ე. წ. „ს. დემოკრატია“ ძლიერ დაშორებულია ნამდვილ სოც.-დემოკრატიისაგან. ჩვენ ხელთა გვაქვს სამხრეთ რუსეთის სოც. დემოკრატიული ორგანიზაციათა ორივე ფრაქციის კონფერენციების რეზოლიუციები, რომლებიც უკრაინელთა ნაციონალისტურ გამოსვლებს გმობენ და მას რევოლიუციის დამღუპველათ თვლიან. ეს კიდევ ცოტაა. უკრაინელთა სეპარატიულ მოძრაობის გადამჭრით წინ აღუდგა პირველ ყოვლისა სწორეთ **დემოკრატიის რევოლიუციონერი ორგანო**—კიევის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო. თვით პეტროგრადის საბჭო ხაილათ ხედავს უკრაინელ ნაციონალისტების დამღუპველ პოლიტიკას და ამიტომაც იყო, რომ ის სთხოვდა მათ შეეჩერებიათ ზოგიერთი ნაბიჯების გადადგმა.

ასევე წინააღუდგა ნაციონალისტთა განკერძოებულ მუშაობას რეველის მუშათა და ჯ. კაცთა საბჭო, ე. ი. ყველგან, სადაც დემოკრატია, ჭეშმარიტი დემოკრატია, პირისპირ დაუდგა ნაციონალისტების საქმიანობას, ის მის წინააღმდეგ ილაშქრებს. თფილისის მუშათა და სალდათთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთხმათ გამოიტანა თავის დადგენილება ქართველ ნაციონალისტთა მიერ ჯარში დეზორგანიზაციის შეტანის წინააღმდეგ. „სახ. ფურცელმა“ უნდა იცოდეს, რომ იქ გარდა სოც.-დემოკრატებისა სხვა შეხედულების ხალხიც ზის.

ერთი სიტყვით, დემოკრატია და ნაციონალიზმი ერთათ ვერ თავსდება.

ჩვენ ვესხრობით დემოკრატიას და ვებრძვით ნაციონალიზმს.

ჩვენ არ გვინდა კონტრ-რევოლიუციონერების გასახარელი საქმე ვაკეთოთ.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ დემოკრატიულ ბანაკში ბრძოლის გაჩაღების და მისი ძალების გათიშვის, როგორი ლოზუნგითაც ხდებოდეს ეს.

აი რისთვის გვამკობს ჩვენ „სახალხოელები“ შავ-რაზმული ეპიტეტებით.

პარტია, რომელიც სულამ დემოკრატიას ებრძოდა, რომელსაც არავითარი ნიადაგი ქართველ ხალხში არ აქვს, რომლის ლაშქარი გაკოტრებული თავადების, მღვდლების და შოვინისტური ინტელიგენციისაგან შესდგება—ეს პარტია ჩვენ ხულიგანებს გვიწოდებს!

კიდევ ერთი მცირე შენიშვნა. „სახალხო ფურცელს“ განუზრახავს თავისი ბინძური მიზნისათვის გამოიყენოს ჩვენი ფრაქციული დავა. მას ეს ხერხი არა ერთხელ უხმარია, მარა აქამდის ამისთვის სახეირო არაფერი გამოსულა. რა საბუთი აქვს გაზეთს იფიქროს, რომ ახლაც ეს არ მოხდება?

რანაირი სხვადასხვა შეხედულებაც სუფევდეს სოც. დემოკრატიაში—ერთი დღესავით ნათელია: ჩვენ ყველანი—განურჩევლათ ფრაქციისა ნაციონალისტების წინააღმდეგი ვიქნებით.

ეს კარგათ დაიმახსოვრონ ფედერალისტებმა, რომ უნიადაგო ოცნებას თავი დაანებონ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 16—24 მაისი.)

რუს ნემეცების ყრილობა.

ადესა. რუს ნემეცებმა დაადგინეს ყრილობაზე კამათი ნემეცურ ენაზე დაიწყონ. აგრარულ საკითხში ყრილობამ მხარი დაუჭირა კადეტების პროგრამას. სტუდენტ როდეგერის სიტყვას, რომელიც სოციალისტურ პარტიების პოზიციას იცავდა ყრილობა მტრულათ შეხვდა.

მუშათა ყრილობა.

კიევი. გაიხსნა შაქრის ქარხნების მუშათა ყრილობა. წარმოდგენილია 120 ქარხანა, სადაც 60.000 მუშა მუშაობს.

დეზერტირების წინააღმდეგ.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის სამართველო ბევრ ცნობებს ღებულობს რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტებისაგან, რომ დეზერტირების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა დაიწყოს. ბევრ ადგილებიდან თხოულობენ სატუსაღო ვაგონებს, რადგან ბევრი დეზერტირი ჰყავთ დაჭერილი.

სასურსათო საქმე.

დონის როსტოვი. დონის-როსტოვის საოლქო კომიტეტის სასურსათო ყრილობაზე შინგარევმა დაახასიათა დღევანდელი საშიში მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საქმის ადგილობივ გამოსარკვევათ მინისტრები შემოივლიან რუსეთს, მან მოუწოდა დამსწრეთ დაივიწყონ უთანხმოება და შეერთდენ რუსეთის დასახსნელათ.

შავ რაზმულ გაზეთების დახურვა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გადაწყვიტა დაიხუროს შავ რაზმული გაზეთები „ნიჟეგორ. მიტინგი“ და „გოლოს ნიჟეგოროდცა“. ამასთანავე დაადგინა ჩამოართვას მათ სტამბა და რევოლიუციის საქმეზე გამოიყენოს.

ეპისკოპოზ ევლოლის გაძევება

ჟიტომირი. საგუბერნიო საბჭოში გაარჩიეს საკითხი ეპისკოპოზ ევლოლის ვოლინიდან გაძევების შესახებ. პოლონელებმა და ებრაელებმა ხმის მიცემაზე უარი განაცხადეს. გაძევების მომხრე გამოდგა 25 კაცი, წინააღმდეგი 23.

კრონშტატის საქმე.

კრონშტატი. (დაგვიანებული). რადგან კრონშტატის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ კრონშტატში ერთათ ერთი მთავრობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოა, მთავრობის კომისარი პეპელიაევი სთხოვს მინისტრ თავმჯდომარეს გაანთავისუფლოს ამ თანამდებობიდან.

ანარქისტების მოქმედება.

კალუგა. (დაგვიანებული). ექვსმა შეიარაღებულმა ანარქისტმა ხელში ჩაიგდო მამული ჩუმახოვო. შეადგინეს კომიტეტი და მიწებს იყოფენ.

საფრანგეთის ელჩი.

პარიზი. პეტროგრადში საფრანგეთის ელჩათ დაინიშნა ნულანსი.

სამხედრო მინისტრის ბრძანება.

პეტროგრადი. სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ ჯარისა და ფლოტისადმი ბრძანება გამოსცა, რომელშიაც მოითხოვს, რომ მომავალი აფიცრები ფიზიკურ შრომას შეეჩვიონ და ამიტომ გარდემარინები 1—2 საათი უნდა მუშაობდნენ ოთახების დასალაგებლათ.

მომრიგებელი კამერა.

პეტროგრადი. გაფიცვების თავიდან ასაცილებლად პეტროგრადის რაიონის ქარხანა ფაბრიკების, საზოგადოებებისა და მოსამსახურეთა კავშირის და საზოგადოების წარმომადგენლებმა შეადგინეს მომრიგებელი კამერა. 6 საათის სამუშაო დღის მოთხოვნა დააკმაყოფილეს. დააკმაყოფილეს აგრეთვე ეკონომიური მოთხოვნის ნაწილი.

სუხომლინოვის საქმე.

პეტროგრადი. იუსტიციის მინისტრმა დროებითი მთავრობას მოხსენება წარუდგინა სუხომლინოვის საქმის შესახებ. სუხომლინოვს აბრალებენ: 1) რუსეთსა და გერმანიის და სხვა სახელმწიფოებ შორის ატეხილ ომის დროს, როცა ის მინისტრათ იყო, მან არავითარი ზომა არ მიიღო სახელმწიფო და კერძო ქარხნების წარმოების გასაფართოებლათ, ჯარის საკმაო საომარი მასალა ვერ მიაწოდა და მით ხელი შეუწყო მტერს, ამიტომ მას ბრალად ედება ის დანაშაული, რომელიც აღნიშნულია სისხლის სამართლის 108 მუხლში. 2) ყურადღება არ მიაქცია ჯარის შეიარაღებას. 3) როცა ცხენის ზარბაზნებით ჯარის შეიარაღება დაგვიანდა და ამის შესახებ მან განმარტება მისცა [illegible] დამალა ერთი მიზეზი. 4) წინააღმდეგ 1915 წლის 10 თებერვლის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებისა ხელი შეუწყო რუსეთში კერძო იარაღების ქარხნის გასხნისათვის იმ პირობით, რომ ქარხნისათვის შეეკვეთათ 3 მილ. თოფი, მან თავის ნებით დაავალა „არტილერიის ქარხანათა რუსეთის სააქციონერო საზოგადოებას“ წარმომადგენელს დაეწყო ქარხნის მოწყობა, 5) 1911 წლის სექტემბრიდან 1912 წლის აპრილამდე გადასცა გერმანიის აგენტ მიასოედოვს ისეთი ცნობები, რომლებიც საიდუმლო უნდა ყოფილიყო, 6) 1909 წლის მარტიდან 1915 წლის მარტის გასვლამდე ცნობებს აწვდიდა ავსტრო-უნგრეთის აგენტს ალტშილლერს, 7) გერმანიასთან ომის გამოცხადების შემდეგ მან მისცა მიასოედოვს მოწმობა, რომ ის წინააღმდეგი არაა მიიღონ სამხედრო სამსახურში და ამით ხელი შეუწყონ მას საჭირო ცნობების შეკრებაში, 8) 1914 წლის აგვისტოში მან გადასცა ნიკოლოზ გოშკევიჩს და ვასილ დუმბაძეს ცნობები ჯარის შესახებ, მობილიზაციის და სხვ., 9) 1912 წლის 21 მაისს ყოფილ იმპერატორს ყალბი ცნობა მიაწოდა მიასოედოვის შესახებ, რომ მას არავითარ საიდუმლო [illegible] საქმე არა ჰქონდა და არავითარი სამხედრო საქმე მას არა ჰქონდა [illegible]. სუხომლინოვის ცოლს, ეკატერინე სუხომლინოვისას ბრალდება, რომ მან ხელი შეუწყო ქმარს გაცნობოდა მიასოედოვს და ალტშილლერს.

ომის დეპეშები.

(პეტრ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 24 მაისი. დასავლეთის ასპარეზზე და რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ცვლილება არ მომხდარა აგრეთვე კავკასიის ფრონტზე.

პარიზი. 23 მაისი. ჩრდილოეთ ფრონტზე ორივე მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ყუმბარებს უშენენ. საღამოს ჩვენმა ჯარმა იერიშები მიიტანა და წინა დღით დაკარგული სანგრები კვლავ უკან დაიბრუნა. შამპანში დროგამოშვებითი საარტილერიო სროლაა. ობერივასა და ტანგიურომის რაიონებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

პარიზი. 23 მაისი. მთელ ფრონტზე საარტილერიო სროლა სწარმოებს. განსაკუთრებით ბრძოლა გაცხოველდა ბელგიის ფრონტზე. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ქ. ტრირში 1.000 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება ჩაყარეს. ყუმბარები ჩაყარეთ რკინის გზის სხვადასხვა სადგურებში. დიუჯ სიურგებზე აფეთქება გამოიწვიეთ.

ლონდონი. 23 მაისი. საფრანგეთის ფრონტზე, ლანგმაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ, იპრის სამხრეთით გერმანელების სამხედრო ბანაკს თავს დავესხით და მათ ზიანი მივაყენეთ.

ლონდონი. 23 მაისი. მდ. ტემზის ნაპირას მდებარე ქალაქებს—ესაქსსა და კენტას გერმანელების ჰაეროპლანები თავს დაესხნენ და იქ ყუმბარები ჩაყარეს. ზარალი გამოურკვეველია.

რომი. 24 მაისი. კარსის ფრონტზე საარტილერიო სროლა განვლდა. კარსის რაიონში მტერი უკუვაქციეთ. კონსტანცევის მაღლობებთან მტრის სიმაგრეები დავიკავეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ახალი ამბები

ქალაქის საამრჩევლო კომიტეტისაგან. მცხოვრებთა აღწერა ქალაქის თვითმართველობის არჩევნებისათვის დაიწყება კვირას დილის რვა საათიდან. აღმწერთა ხელმძღვანელნი საარჩევნო კომიტეტისაგან დანიშნულნი უნდა გამოცხადდნენ ბიუროში (არტისტიული საზოგადოება) დღეს, საღამოს 7 საათზე. გადამწერლები კი შაბათს დილის 10 საათზე. კომიტეტის მიერ შედგენილი ხელმძღვანელთა და გადამწერთა სია გამოკრული იქნება პარასკევს დილით.

◆ **მოქალაქენო! მალე თფ. ქალაქის საბჭოს არჩევნები მოხდება მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში ყველა (20 წლისა) ქალი და კაცი. ამ დღეებში ჩამოივლიან ამწერლები, მიეცით მათ სწორი ცნობები და ეცადეთ ყველანი ჩაეწეროთ.**

◆ ამხ. რაჟდენ (მიშა) არსენიძე თავს უკეთ გრძნობს. რადგან ლაპარაკი სწყინს, ამხანაგებს ვთხოვთ ნუღარ შეაწუხებენ ნახვით.

◆ როგორც დეპეშით გვაუწყებენ ბოდაიბოდან (ირკუტსკის გუბ.) უკვე გამომგზავრებულან პოლიტიკურები, რომლებსაც აქამდის საშუალება არ ჰქონდათ წამოსვლისა უგზოობის გამო. მათ თფილისში მოელიან ივნისის ნახევარში.

◆ ლოტბარი ა. მაისურაძე მაისის ბოლო რიცხვებში გამართავს საღამოს. მონაწილეობას მიიღებენ სიმღერებში: ქ-ნი კალანდაძე, ბ-ნი ა. მაისურაძე, ლ. ჯანდიერი და სხვა ახალგაზდა მომღერალ ქალ-ვაჟნი. დივერტისმენტში: ახალგაზდა მგოსნები: შ. მოლაშვილი, კ. ძიძაძე, ს. ხომელი. წარმოდგენაში: ქ-ნი გარაყანიძე, ბ-ნი დარბნელი და სხვა.

◆ **თფილისის საქონლის სადგურის ხელის მომწერთა საყურადღებოთ.** ვაცხადებთ, რომ გაზეთზე ხელის მომწერლებმა მომავალი თვის გაზეთის ფული სამი დღით ადრე შემოიტანოთ, რომ გაზეთი თავის დროზე მიიღოთ. პატივისცემით ს. ლ. ჩიგოგიძე.

◆ 24 მაისს მუშათა კომისიამ ელექტრონულ სადგურის „ძალა და სინათლე“-ს წარმომადგენლებისა და ელექტრონზე მომუშავე პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენლებთან ერთად მოახდინა კრება. განსახილველი იყო მუშათა მოთხოვნილება გამგე მუშის დათხოვნისა და 4 დათხოვნილი მუშის უკანვე მიღების შესახებ. რადგან „ძალა და სინათლის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ვერ მიიღებენ მუშათა კომისიის გადაწყვეტილებას, რადგან ამის უფლება მათ არა აქვთ, კომისიამ გადაწყვიტა საქმე გადაეცეს ცენტრალურ მომრიგებელ კამერას.

◆ მომრიგებელმა კომისიამ 24 მაისის სხდომაზე გაარჩია საქმე აბასთუმანის გლეხებისა და ტყის რევიზორის ზაკრევსკის შესახებ. ტყის რევიზორს ჩამოერთმევა გლეხებისთვის მოჭრილი შეშა, გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, [illegible] ნებართვა ნით და ბილეთებიც აღებული ტყის მჭრელათ. მომრიგებელმა კომისიამ დაად გადაეცეს გლეხებს მოჭრილი შეშა.

◆ სასტუმროს პატრონებმა სავსებით დააკმაყოფილეს მრეცხავ ქალების მოთხოვნ ბანი.

◆ საზღვარ გარეთიდან დაბრუნდნენ თფილისში ჩამოვიდნენ ემიგრანტები: მგელაძე, იოსებ სალაყაია, გოგიაშვილი კარაჯიანი.

◆ თავისუფლების სესხის ობლიგაცი ზე ხელი მოაწერეს: სახელმწიფო ბანკის ნტორაში: ზაგარიანცის და ვარტაზარიან ამხანაგობამ—50 ათასი მანეთი, ნინო კოლოზის ასულმა ნაკაშიძისამ—104,800 პუგინოვის და ალიხანოვის ამხანაგობამ ათასი მან. თფილისის საურთიერთო კრ ტის ამხ. 100 ათასი მ., თფილისის შემნახ გამსესხებელი ამხ. 53,600 მ., ვერა ალექ დრეს ასულმა მღებრიევამ 35 ათასი მ., თ ლისის სავაჭრო ბანკში: მინას სულხანიან 150 ათასი მან.

◆ ამხანაგებს, რომელთაც სურთ მიიღ მონაწილეობა მომავალ ქალაქის არჩევნე თვის დანიშნულ მცხოვრებთა აღწერაში, უცილოთ ჩაეწერონ მუშათა დეპუტატების ბჭ ის მდივანთან (სასახლეში).

კრებები და მიტინგები.

დღეს 26 მაისს საღამოს 6 საათზე სახლის თეთრ ზალაში მოხდება შეერთე ლი სხდომა მუშათა და ჯ. კაცთა აღმას ლებელი კომიტეტისა.

— დღეს 26 მაის, 6 საათზე საღამოს ზამთრო ავლაბრის კლუბში (კახეთის ქ. № შედგება არაჩვეულებრივი სხდომა მე რაიონის კოლექტივისა თფილისის ორგანი ციისა რ. ს. დ. მ. პ. გთხოვთ ამხანაგებს დაუგვიანებლივ.

— დღეს, 26 მაისს საღამოს 7 საა უდელნი ქუჩაზე № 3 (მეექვსე გიმნაზია) კითხული იქნება რუსულსა და ქართულ ზე ლექცია. თემა: „ქალაქის არჩევნები დემოკრატია“. რუსულად წაიკითხავს გე ტეინი, ქართულად ლეო ნათაძე.

— მოვაგონებთ ჩვენის გაზეთის მკითხველ რომ დღეს საღამოს ექვს საათზე, ხარფუ კლუბში ნოე ხომერიკი წაიკითხავს ლექც ქართულ ენაზე აგრარულ საკითხზე. ამხა გებს სთხოვენ დაესწრონ, ვინაიდან ლექ მეტად საინტერესო და შინაარსიანია.

— დღეს 26 მაისს მოხდება კრება დი ბის მოქალაქეთა რკინის გზის სკოლაში, ღამოს 6 საათზე. თემა: კოალიციური სა ნისტრო და თავისუფალი სესხი. (ქართ ენაზე).

— დღეს, 26 მაისს მოხდება კრება ს დათებისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № თემა: სოც. დემოკრატიული პროგრამა.

— დღეს 26 მაისს მესამე საქალებო გ ნაზიაში პროპაგანდისტების კურსებზე ვე ქუვსკი წაიკითხავს ლექციას, პროფესიონ ლური მოძრაობის შესახებ. დასაწყისი სა მოს 7 ნახევარ საათზე.

პროვინციის ქრონიკა.

ზუნიბი. (დაღესტ. ოლქი). დაარსდა საო სასურსათო კომიტეტი. კომიტეტის თავმჯ მარეთ აირჩიეს აგრონომი ერ. რამიშვი ჯერ ჯერობით კომიტეტი დიდ ენერგიას იჩ მან უკვე გამოიწერა და ურიგებს ხალხს 1 ფ. შაქარს და ამდენივე ფქვილს.

— წლევანდელ მოსავალს ძლიერ ცუდი რი უჩანს. მუდმივ გვალვის გამო ყანები რაც დაუთესელია და რაც დაითესა ისიც ხეირობს ამავე მიზეზით. ზამთრის პურიც ლაცამ აიკლო. კომიტეტი ეხლავე შე ზრუნვას მოსალოდნელი შიმშილობის ასაც ლებლათ.

— ხალხი კიდევ უნდობლობით უცქე და ჯერაც ვერ გაერკვა მოხდარი ამბ მნიშვნელობაში. ამ ჟამათ ერთად-ერთი ზუ ბის ოლქი შეადგენს გამონაკლისს მთელ დღისტანში. სხვა ოლქებში საქმე კიდევ დება, ირჩევენ კომიტეტებს და კომისარ აქ კი ყურსაც არ იბერტყავენ ამისათვის.

სამწუხაროთ აქაური დრ. კომისარი იჩენს საკმაო ენერგიას და ძლიერ სუსტ მოდგა. იმის მაგიერ, რომ გამოუდმებით ხ ში ტრიალებდეს, უხსნიდეს გარემოებას მოუწოდებდეს შესაკავშირებლათ, ის არ ნათ ზის თავის კანცელარიაში და თავის ლვაწერობას ქაღალდებზე ხელის მოწე საზღვრავს.

— გუნიბის ოლქში ამ დღეებში რამოდე მე სამწუხარო ექსცესებს ქონდა ადგ აგრარულ ნიადაგზე. სახელმწიფო ტყ მცველები გამორეკეს, ხუნძის ბაღი საზოგადოებამ იმ მიზეზით, რომ წინ ადგილი საზოგ. საკუთრებას შეადგენდა, დეგ კი ხაზინას მესაკუთრეობაში და პიოისათვის იჯარით მიეცა.

სად. ქვალონი. ზოგიერთი ვაჭარ არ იშლიან თავიანთ უმგვანო მოქმედ ზოგი პროვოკაციის სახით, და ზოგიც და ნარდის თამაშით, რაიც მით უმეტეს ვანდელ დროში არის საზოგადოთ გასაკ ხავი. აქ მეტი წილი მცხოვრებნი ყოველ გონიერებას მოკლებულნი არიან. საჭირ კარგი აგიტატორი და ჩამგონებელი.

დ. ხობი. 30 აპრილს ადგილობრივ სც მოყვარეებმა დადგეს „სოფლის გმირ წმინდა შემოსავალი დარჩა ასსამოცდაათ

მან. (173 მ.), რომლისგან ასი მანეთი გადაეცა ადგილობრივ სამკითხველოს, 73 მან. კი უნდა მოხმარდეს სცენას.

— ადგილობრივი ბიბლიოთეკა სამკითხველო მოთავსებულია ძალიან უხერხულ ბინაში და არც ერთი ჩვენი გაზეთი არ მოდის. აქაურებს აქვთ განზრახვა გადმოიტანონ ბიბლიოთეკა-სამკითხველო—ბულვარში, საჭიროა ამას დაჩქარება.

— ხობის რაიონში პირუტყვს ჭირი მოედო. ხალხის სასოწარკვეთილებას საზღვარი არა აქვს.

რუსეთის ამბები.

მინისტრ ნეკრასოვის და მუშების შეტაკება. 10 მაის გზათა მინისტრმა ნეკრასოვმა მოსკოვში რკინის გზის მოსამსახურეთა მიტინგზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა. რკინის გზის მოსამსახორეთა ერთმა ნაწილმა მინისტრის სიტყვაში, სადაც მან სთქვა ცეხებათ დაყოფა არ ვარგა და ერთი საზოგადო დადგენილება უნდა გამოიტანოთო, დაინახეს ყოველ პროფესიონალურ კავშირების წინააღმდეგ გალაშქრება. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, უმეტესათ ორთქმავლების ბრიგადების წარმომადგენლებში. მათ გამოუძახეს მინისტრს. ის გამოვიდა მუშებთან. მუშებმა უთხრეს: „ან ჩვენ თქვენი სიტყვები ვერ გავიგეთ ან თქვენ ამხანაგ-მინისტრის მაგიერ „ბატონი მინისტრი" გახდითო. თქვენმა სიტყვებმა ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე და ეხლავე წამობძანდით ორთქლმავლის ბრიგადების ყრილობაზე, სადაც მოულოდნელათ მოგელიანო.

მინისტრს უნდოდა იქვე გამოერკვია გაუგებრობა, მაგრამ დელეგატებმა უპასუხეს დავალებული არ გვაქვს მოგისმინოთ, უმჯობესია ეხლავე წამობრძანდეთ ყრილობაზე. მინისტრი შეჰპირდა საღამოს 7 საათზე მოვალო.

როგორც ამბობენ ნეკრასოვის სიტყვებს ისე გაუნაწყენებია ზოგიერთი მუშები თურმე, რომ მიტინგზე აქა-იქ გაისმა ხმები: „ჩვენ მოსკოვიდან არ გაუშვებთ ნეკრასოვს, სანამ ის თავის სიტყვებს უკან არ წაიღებსო".

— **ვის უნდა გაეხსნა ფრონტი ნემცებისთვის?** დღემდე გამორკვეული არ არის ვინა სთქვა: „უნდა გავუხსნათ მინსკის ფრონტი ნემცებს, დეე მოვიდნენ და დააწყნარონ ეგ ძაღლე იო", ნიკოლოზ რომანოვმა თუ გენერალმა ვოეიკოვმა. ზოგიერთი რუსეთის გულუბრყვილო მოქალაქე იმ აზრის არის, რომ ეს სიტყვები სიმთვრალის დროს წამოიყრანტალეს და მას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ეს მართალი არ არის. ვიღაცა ძლიერ ცდილობდა გაეხსნა ფრონტი და თუ ეს არ მოხდა რუსეთი იმ ჯარისკაცებს უნდა უმადლოდეს, რომლებსაც სიკვდილით ემუქრებოდნენ, მაგრამ მაინც ვერ ჩაადენინეს ეგ სამარცხვინო საქმე.

მარტის პირველ რიცხვებში ერთმა დივიზიამ, რომელიც ნაროჩის ტბის ვიშნევსკის შუა იდგა, ბრძანება მიიღო წინა საფრები დაემტვრიათ. ჯარისკაცები აღელდნენ და უარი სთქვეს. უფროსები დაჟინებით მოითხოვდნენ ჯარისკაცებისგან ჩაედინათ ასეთი მუხანათური საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში დახვრეტით ემუქრებოდნენ. როტების, ნახევარ როტების და ბათალიონის უფროსმა ოფიცრებმა მოითხოვეს წერილობითი ბრძანება ამის შესახებ, მაგრამ ამაზე შტაბიდან სიტყვიერათ შეატყობინეს, რომ იანვარში გენერალ ევერტის ბრძანება იყო გამოცემული. ამ ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ სასურველია რომ რუსული სიმაგრეები ინგლისურით შეიცვალოსო. ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა უპასუხეს თუ ასე გსურთ ჯერ ინგლისური სიმაგრეები გააკეთეთ და მერე ძველს ავიღებთო. მაგრამ უფროსები დაჟინებით მოითხოვდნენ სიმაგრეების დანგრევას, ზოგგან კიდეც დაიწყეს ნგრევა. ჯარისკაცებმა ძალა იხმარეს და შეაჩერეს ეს მოღალატური მოქმედება, მაშინ მათ განუცხადეს, რომ ზარბაზნებს დაგიშენთო, ჯარისკაცები არტილერისტებთან მივიდნენ და სთხოვეს არ ესროლოთ მათთვის, იმათმა აღუთქვეს არ გესვრით ვინც უნდა გვიბძანოსო. ამ დროს ტელეფონით ბრძანება გასცეს ჯარისკაცებს ვინტოვკები ჩამოართვითო. მაგრამ ვერც ეს ბრძანება შეასრულეს. თუ პოზიციაზე საზოგადოთ ჯარისკაცი ვერ შორდება ვინტოვკას, ამ ბრძანების შემდეგ თოფებთან ერთად ეძინათ.

ეს ამბავი მოხდა მარტის 1—8 რიცხვებში. ჯარისკაცებს ძალათ უხვევდნენ თვალებს. მათ სრულიად არაფერი იცოდნენ რა ხდებოდა რუსეთში. მხოლოდ 10 მარტიდან კანტი-კუნტათ გაიგეს ნიკოლოზის გადადგომა და სხვა. ამის შესახებ შემდეგი საინტერესო ბრძანება გამოიცა.

ბრძანება № 1. უმაღლესი მანიფესტი.

წყალობითა ღვთისათა ჩვენ ნიკოლოზ მეორე და სხვა (ეს მისი გადადგომის შემდეგ). ამის შემდეგ ასეთი სიტყვები:

„რუსეთის ხალხის ისტორიაში დიდი მომენტი დადგა, ჩვენი მამა მეფე, გულნატკენი ყველა იმ უბედურებით, რომელიც რუსეთს ეწვია, ჩამოშორდა საქმეებს (**ტახტიდან კი არ გადამდგარა, საქმეებს ჩამოშორდა**) და ტახტი თავის ძმას მიხეილ ალექსანდრეს ძეს ჩააბარა. ასეთი დიადი უბედურება, რაც ჩვენ გვირგვინოსანს შეხვდა, რუსეთმა არ იცის და სხვა. თავდება ასე: დეე არავინ არასოდეს არ გაბედოს და უსაყვედუროს რამე ღვთის ნაკურთხს! შეუერთონ ჩვენი სევდით დაღარული გული მის გულს, ჩვენი მწუხარება მის მწუხარებას და ჩვენს სიყვარულს და ერთგულებას მთელ ჩვენ სიცოცხლეში ნუ მოვაკლებთ".

— **მარიამ სპირიდონოვა.** ვისაც თვალყური უდევნებია რევოლიუციონურ რუსეთის და მეფის მთავრობის ბრძოლისთვის ის უთუოთ შეამჩნევდა რა სასტიკ საშუალებებს ხმარობდა უკანასკნელი, რა ინკვიზიტორულ სატანჯველს იგონებდა, რომ რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი შეეწირა და ამით აკვანშივე ჩაეკლა რევოლიუცია. ბევრი მსხვერპლი შეიწირა თვითმპყრობელობამ, მაგრამ როგორც ვხედავთ მაინც ვერ მიაღწია საწადელს, ბოლოს თავის ხელით გაითხარა სამარე და რუსეთის რევოლიუციამ მას მიწა მიაყარა. როცა იგონებ ზოგიერთ შემთხვევებს, რა სატანჯველს აყენებდა თავის მსხვერპლს ნიკოლოზ რომანოვის სატრაპები თმა ყალყზე გიდგება. როცა მარიამ სპირიდონოვა დაიჭირეს და საპოლიციო უბანში მიიყვანეს, ჯერ ძაღლზე სცემეს, შემდეგ გაატიტვლეს და ჟანდარმები და პოლიციელები მის ტიტველ ტანზე ცეცხლმოკიდებულ პაპიროსებს აქრობდნენ. უნდოდათ გაეტეხათ, მაგრამ მათმა ინკვიზიციამ ვერ გასჭრა. სპირიდონოვა შემდეგ გაასამართლეს და კატორღაში გაგზავნეს. ეხლა ის, რასაკვირველია, განთავისუფლებიათ და ქ. ჩიტაში დასახლებულა. იქ ის სათავეში უდგას ქალაქის და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს: მცხოვრებლებში მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია. ფიქრობენ რომ ქალაქის თავათ აირჩევენ.

— **ცნობილი გენერალ გუბერნატორი.** რევოლიუციის დროს ჩაბროვსკში დაატუსაღეს ამურის იქითა მხარის ცნობილი გენერალ-გუბერნატორი მონდატი. მონდატი მთელ ამ მხარეში ცნობილი იყო, როგორც უკიდურესი რეაქციონერი და თავის სასტიკი მოქმედებით ხალხის რისხვა დაიმსახურა. ის ყველას ჭირივით ეჯავრებოდა. ეხლა ეს გმირი იგზავნება პეტროგრადში. როცა სატუსაღოდან გამოიყვანეს, მას აუარებელი ხალხი უცდიდა ზიზღითა და შურის ძიებით აღვსილი. ხალხმა მოითხოვა, რომ ის ფეხით მიეყვანათ რკინის გზის სადგურამდე. ის წაიყვანეს ფეხით სადგურამდე. ჩასვეს საფოსტო მატარებლის მესამე კლასის ვაგონში (სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა ალბათ თუ ოდესმე მესამე კლასით მოგზაურობა შეხვდებოდა), მიუყენეს მცველები, რომლებიც პეტროგრადამდე უნდა მიჰყვნენ და გზას გაუყენეს. ხალხმა წყევა-კრულვით გააცილა ის.

— **პროვოკატორების გასამართლება.** 20 მაისს დანიშნული იყო პირველი კრება იმ ახალ სასამართლოსი, რომელსაც უნდა გაერჩია საქმე მოსკოვის დამცველ პოლიციის თანამშრომელ პროვოკატორების. სასამართლო შეიკრიბა უნივერსიტეტის აუდიტორიაში. პირველ დღეს უნდა გაერჩიათ ხუთი პროვოკატორის საქმე, აუდიტორიაში შესვლა ბილეთებით იყო. ბილეთები დაურიგეს პარტიულ ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს და პრესის წარმომადგენლებს. სასამართლოს წევრებათ აირჩიეს სოციალისტურ და ბურჟუაზიულ პარტიის წარმომადგენლნი. დამნაშავეებმა უკვე განუცხადეს მალიანტოვიჩს, რომ სასამართლოში არ გამოცხადდებიან. დამნაშავეთ ნებას აძლევენ დამცველები იშოვნონ, მაგრამ დღემდე არც ერთ მათგანს არ განუცხადებია ვის აბარებს თავის საქმეს. მოწმეებს აღარ დაიბარებენ სასამართლოში, რადგან დამნაშავეებმა აღიარეს თავის დანაშაული.

— **დეპუტატი ზამისლოვსკი და ბეილისის საქმე.** საგამომძიებლო კომისიამ გამოარკვია დეპუტატ ზამისლოვსკის და სხვების მოქმედება ბეილისის საქმეში. ზამისლოვსკიმ თავის საბრალმდებლო სიტყვაში მაშინ აღნიშნა, რომ ის სრულიად უსასყიდლოთ იღებს მონაწილეობას. ეხლა გამოირკვა, რომ „უანგარო" ზამისლოვსკის საიდუმლო ფონდიდან მიუღია 2500 მანეთი. ცნობილ კოსოროტოვს, რომელიც, როგორც ექსპერტი, ამტკიცებდა ბეილისის დამნაშავეობა, პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო ფონდიდან მიუღია 4 ათასი მან. პატივცემულ პროფესორს ამ 4 ათასი მანათის გარდა უარი არ უთქვამს და კიევის საოლქო სასამართლოსთვისაც გამოურთმევია სამგზავრო 400 მან.

— **ახალი ჯურის მილიციონერები.** ქალაქ რიაზანში შედგა ახალი ჯურის მილიციონერთა რაზმი, რომელსაც „პასსიური მილიცია" უწოდეს. ეს მილიცია ამგვარათ მოეწყვიათ: მთელი ქალაქი დაყოფილია 32 რაიონათ, თითო რაიონში შედის რამდენიმე უბანი. ვისაც სურს მილიციონერობა იკისროს ეწერება ქალაქის მილიციის სამმართველოში. მას ნიშნავენ იმ რაიონში, სადაც სურს და მისთვის საჯობინოა.

თვითოეულ რაიონს ყავს გამგე, არა უფროსი, არამედ თანასწორი ამხანაგი, რომელიც სწერს რამდენი რევოლვერი, ხმლები და სხვა იარაღი დაარიგა. თვითოეულ რაიონში „პასსიური მილიციის" რიცხვი ათამდეა. და ამდენი რევოლვერი, ხმალი და ველოსიპედებია გადადებული მათთვის. ამ მილიციონერებს სრულიად ხელს არ უშლის ეს საქმე, თავის საქმე გააკეთოს და სამსახურში იაროს: ვისაც რამდენი შეუძლია იმდენს მუშაობს, ვინც მოისურვებს ღამე ჩამოვლას, ჩამოივლის, არა და არა.

ასეთ მილიციის შედგენის მიზანი ის არის, რომ ყველა თავის რაიონს უფრო დაიცავს. ამასთანავე მეორე მიზანი ის არის, რომ ამით მჭიდროთ კავშირდება მილიცია და მოქალაქე. ყოველი მოქალაქე პასსიური მილიციონერია და სადაც უნდა იყოს გზადგზა წესიერებას და მშვიდობიანობას იცავს.

შავრაზმელების ბუნაგი. ამ უკანასკნელ დროს კიევში ბუნაგი გაიჩინეს შავ-რაზმელებმა და თვითმპყრობელობის თაყვანის მცემლებმა. მათმა უტიფრობამ იქამდე მიაღწია, რომ ერთ დღეს მოინდომეს აშკარა მანიფესტაციის მოხდენა, რომ მოეთხოვათ თვითმპყრობელობის აღდგენა. განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და მაისის პირველ რიცხვებში მოახდინეს კიდეც რამდენიმე მანიფესტაცია. მანიფესტანტებს შეუერთდნენ იუნკრები და მოსწავლენი. მათ გარს ერტყათ კეტებით შეიარაღებული რუსთა კავშირის წევრები. მათ ამ ბოლოს თავი წამოჰყვეს, საიდგანღაც ფულები იშოვნეს და კონტრ-რევოლიუციონერ აგიტაციას ეწევიან.

ამ არა სასიამოვნო მოვლენას ყურადღება მიაქცია სამხედრო დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა და რამდენიმე კრება მოახდინა. აღმასრულებელმა კომიტეტმა სამწუხაროთ შენიშნა, რომ ამ მანიფესტაციებში ჯარის ცალკე ნაწილებიც იღებდნენ მონაწილეობას. გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ კონტრ-რევოლიუციონერების კიევში თავის მოყრისთვის ხელი შეუწყვია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარ სარდალ გენერალ ბრუსილოვს. რომ გაეწმინდა ფრონტი კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებისგან ყველა ასეთები მას კიევს შტაბისკენ გამოუგზავნია. აღმასრულებელმა კომიტეტმა სთხოვა ბრუსილოვს აღარ გამოგზავნოს ასეთები კიევში, არამედ შორეულ ციმბირის ქალაქებში გაგზავნოს. ბრუსილოვი დასთანხმდა ამ წინადადებას.

რადგან შავრაზმელები ებრაელების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან, აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მოესპოთ მათ თავისუფლება. ერთმა ორატორმა კომიტეტის კრებაზე სხვათა შორის სთქვა: „უნდა დავახრჩოთ ეს გველეშაპი და ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოვუღოთ წარსულ საშინელების დაბრუნების საშუალებას. დიახ, ჩვენ ვახრჩობთ და უნდა დავახრჩოთ ეს საზიზღარი გველეშაპი, არ მივსცეთ მას არავითარი თავისუფლება; ჯერ თავისუფლება არ არის, არის მხოლოდ რევოლიუცია—თავისუფლების დაბადების პროცესი". ორატორს ოვაცია გაუმართეს. კომიტეტმა დაადგინა სასტიკი ზომები მიიღოს კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ.

— **ახალი სახალხო უქმეები.** დროებითმა მთავრობამ ერთ თავის კრებაზე დაადგინა მოისპოს სამეფო დღეების უქმობა და შინაგან საქმეთა მინისტრს მიანდო შეიმუშაოს სახელმწიფო მნიშვნელობის დღეების უქმეთ აღიარება.

ამ საკითხის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი წინადადება შეიტანა: რომ ხალხის ხსოვნაში არ წაიშალოს ის დიადი ამბები, რომლებსაც რუსეთის თავისუფლებისთვის მნიშვნელობა ჰქონდა უნდა დაკანონდეს შემდეგი უქმეები:

1) 19 თებერვალი—გლეხთა მონობისაგან განთავისუფლება.

2) 17 ოქტომბერი—რუსეთში პირველ კონსტიტუციონურ წეს-წყობილების გამოცხადების დღე.

3) 27 თებერვალი—რუსეთის დიდი რევოლიუციის დღე, როცა თვით ხალხმა ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების სიეზდი.

(მეოთხე დღე, 24 მაისი).

თავმჯდომარეობს გრიგოლ გიორგაძე.

დ. პოპოვი საპასუხო სიტყვაში მიუთითებს იმ ფაქტზე, რომლებიც ამტკიცებენ კონტრ-რევოლიუციის შეძლებლობას და ამბობს, რომ დღეს ჩვენ არ შეგვწევს ძალა დამოუკიდებლათ ვაწარმოოთ რევოლიუცია და პროლეტარიატი რომ განცალკევებული დარჩეს რევოლიუციაც დაიღუპებაო. ჯერ კიდევ არ არის პირობები, რომ შესაძლებელი იყოს დიქტატურის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლიუციის წარმოება. თვით ბოლშევიკები გვეუბნებიან სოციალური რევოლიუციის ტალღა დასავლეთ ევროპიდან უნდა მოვიდესო. აქედან აშკარაა, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ბურჟუაზიას, რამდენათ იგი რევოლიუციონური დარჩება.

მომხსენებელი კითხულობს რეზოლიუციას.

ნ. თარხანოვმა შემოიტანა წინადადება გამოტოვებულ იქნას ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ჯარში პოლიტიკურ ნაციონალურ ორგანიზაციების შექმნაზე. შემოიტანეს სხვა შესწორებებიც. მაიოროვი (ს.-რ.) მოითხოვს არ ეყარონ კენჭი რეზოლიუციას მანამდე, სანამ არ გამორკვეულა სიეზდის სახელწოდება. სიეზდმა როგორც ეს, ისე სხვა შესწორებანი უარჰყო და ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო დ. პოპოვის შემდეგი რეზოლიუცია: (ს.-რ. და დაშნაკც. თავი შეიკავეს) „ვიღებთ-რა მხედველობაში, 1) რომ მიმდინარე მომენტი არის მომენტი პოლიტიკური რევოლიუციისა.

2) რომ ამ რევოლიუციის დაგვირგვინება უნდა მოხდეს დამფუძნებელი კრების გზით დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებით, რაშიც დაინტერესებული არის პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად პროგრესიული ბურჟუაზიაც.

3) რომ რევოლიუციის გასამარჯვებლათ აუცილებლივ საჭიროა საერთო-სახალხო რევოლიუციის ერთიანობა და მთლიანობა დამფუძნებელ კრებამდე.

4) რომ იმ მომენტში, როდესაც ხალხის გამარჯვებისთვის საჭიროა ერთიანობისა და მთლიანობის დაცვა, როგორც რევოლიუციონური ხალხისათვის, ისე რევოლიუციონური ჯარისათვის, რომელიც რევოლიუციონურ ხალხის ზურგს წარმოადგენს.

5) რომ არ შეიძლება ჯარის პარტიებათ, ან ნაციონალურ ორგანიზაციებათ დანაწილება, თუმცა იმავე დროს არ იკრძალება ჯარში თავისუფალი პროპაგანდა-აგიტაცია და ჯარისკაცებს უფლება ეძლევათ მიემხრონ ამა თუ იმ პარტიას გარეშე სამხედრო სამსახურისა—სიეზდი საჭიროთ აღიარებს ხალხის სრულ უფლებისათვის მჭიდრო კავშირი იქნას დაარსებული მუშათა და გლეხთა დეპუტატებისა რევოლიუციონურ ჯართან და მოუწოდებს ამხანაგებს მთელი თავისი ძალ-ღონე მიმართონ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ორგანიზაციულათ შეერთებისაკენ".

სამანდატო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: ჯერ-ჯერობით დამტკიცებულია 205 მანდატი, მათ შორის 117 მუშა და 88 გლეხია. განსახილველია კიდევ 30 ამდე მანდატი. მუშები წარმოდგენილი არიან კავკასიის ყველა ნაწილებიდან. გლეხები კი ასე ნაწილდებიან: თფილისის გუბერნია—55 დელ., ქუთაისის გუბ. 28, ყარსის ოლქი 3, განჯის გუბ. 1 და სოხუმის ოლქი 1. ამნაირათ, ჩრდილო კავკასიის გლეხობას ვერ გამოუგზავნია წარმომადგენლები სიეზდზე. ამის მიზეზი კი, როგორც გამოირკვა არმავირის დელეგატის მოხსენებიდან, ყოფილა ის გარემოება, რომ იქ გლეხები შეკავშირებული არიან პარტიულათ და არ ისურვეს გამოეგზავნათ წარმომადგენელი თფილისში სიეზდზე. ს.-რევოლიუციონერებმა დაინახეს, რომ სიეზდის დიდი უმრავლესობა ს. დემოკრატებია და სცდილობენ მისი ავტორიტეტი დასცენ და სრულიად ჩაშალონ. ისინი მოითხოვენ სიეზდი აღიარებულ იქნას როგორც მუშათა და თფილისისა ქუთაისის გუბ. გლეხობათა დეპუტატების სიეზდი. ეს წინადადება დიდ კამათსა და შეხლა-შემოხლას იწვევს. უმრავლესობა არ იზიარებს მას და რადგანაც სიეზდი მოწვეულია ნაკაზის თანახმათ, ე. ი. მხოლოდ საბჭოებში შეკავშირებული გლეხობა გზავნის დელეგატებს და არა შეუკავშირებელი, მოითხოვენ დარჩეს ძველი სახელწოდება, (მუშათა და გლეხთა დეპუტატების სიეზდი). ცხადია, სახელწოდება სავსებით შეეფერება სიეზდის შემადგენლობას, მაგრამ ს.-რევოლიუციონერებმა ამას ანგარიში არ გაუწიეს და ჟინიანობაზე ხელი არ აიღეს. მათ შეუერთდა დაშნაკციუტუნების და ფედერალისტების წარმომადგენლები. ანთაძემ პირდაპირ განაცხადა, სოც.-ფედ. ეურთდებით ს.-რებს და დაშნაკციუტუნ სო. ამნაირათ ყველა ჯგუფები ამხედრდა ს.-ბის წინააღმდეგ. სოც.-დ. შეეძლოთ და უფლებაც ჰქონდათ თავის მოთხოვნილება გაეყვანათ, მაგრამ საკითხი რომ არ გაემწვავებიათ და მოწინააღმდეგეთა გამოსვლების გამო განხეთქილება არ მომხდარიყო, ამხ. აიოლამ შემოაქვს წინადადება სიეზდს დაერქვას კავკასიის მუშათა და თფილისის, ქუთაისის გუბ., ყარსისა და სოხუმის ოლქის შეკავშირებულ გლეხთა დეპუტატების სიეზდი და აღინიშნოს ამასთანავე ოქმში, რომ ჩრდილოეთ კავკასიის გლეხობა აქ ვერ გამოცხადდა იმ ბიუროს დეზორგანიზატორულ მოქმედების გამო, რომელიც იწვევს გლეხთა მეორე სიეზდს (ამის დამამტკიცებელი საბუთები მოყავს აიოლას).

ნ. ჟორდანია ს.-დ პარტიის სახელით უერთდება აიოლას წინადადებას. ჩხუბი სიეზდის სახელწოდების შესახებ,—ამბობს ნოე,—ჩვენ არ შეგვეფერის. ეს არასოდეს არ გვიქნია, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ საქმე.

წინადადება მიღებულ იქნა (17 თავი შეიკავეს) ს.-რებმა და დაშ—ებმა, რომლებსაც შეუერთდა ჩვენი ფედერალისტების წარმომადგენლიც, თავი შეიკავეს, როცა კენჭს უყრიდნენ კითხვას: უნდა თუ არა სიეზდი კავკასიის მუშათა დეპუტატების სიეზდი? და ეს მაშინ, როცა სიეზდზე მუშათა დეპუტატები გამოცხადდნენ მთელ კავკასიიდან!

ვ. ალათიშვილი.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ანგარიშში, დ. პოპოვის მოხსენების ბოლოში შეცდომით დაბეჭდილია: „ჯარში პოლიტიკურ-ნაციონალურ საფუძველზე პირობების მოწყობისა". უნდა იყოს: „ჯარში პოლიტიკურ-ნაციონალურ საფუძველზე ორგანიზაციების მოწყობისა და სხ."

ვ. ა—ლი.

ეგნატე ნინოშვილის საფლავზე.

კვირას, 21 მაისს, 23 წლის თავზე დღიდან გარდაცვალებისა გადახდილი იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ეგნატე ნინოშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ, შუადღის 12-საათზე მრავალი პატივისმცემელი შეგროვდა სად. ჯუმათში, აქ იყვნენ როგორც კერძო პირები, ისე სხვა და სხვა პარტიებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები. პროცესია დროშებითა და მუსიკით დაიძრა პატარა სოფელ ჩანჩეთისაკენ, სადაც ასაფლავია ძვირფასი ეგნატე. პირველათ ჩვენ მივუახლოვდით იმ პატარა ქოხს, სადაც დაიბადა ეგნატე. აქ ყველაფერი ვარდ ყვავილებით იყო მოფენილი. როგორც სად. ჯუმათში, ისე მრავალ ადგილზე სადგურიდან ჩანჩეთამდე მიმავალ გრძელი გზისა ჰკიდია ყვავილებით გაწყობილი სურათი უკვდავი მწერლისა. სახლის წინ პროცესია შეჩერდა. აქ ჩვენ გამოგვეგება ბიძა ეგნატესი—ღრმად მოხუცი ალექსი, რომელსაც მოკლე სიტყვით მიმართა აპ. წულაძემ. ნაშუადღევს 2-საათზე ჩვენ უკვე ძვირფასი მასწავლებლის საფლავზე ვიყავით. აქ მრავალი ათასი პატივისმცემელი დაგვხდა; საფლავი სასიამოვნოთ მოეწყოთ, თავისუფლების პირველი მერცხლის საფლავზე ფრიალებდა მრავალი დროშა თავისუფლებისა. ორკესტრი უკრავდა რევოლიუციონურ სიმღერებს.

მიტინგი გახსნა გურიის კომიტეტის სახელით ამხ. გრ. კოპლატაძემ. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ბენია ჩხიკვიშვილი. ორატორთა სიაში ჩაეწერა მრავალი პარტიისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგატები გამოეგზავნათ: კავკასიის ს.-დემ. მუშ. ორგანიზაციების საოლქო კომიტეტსა და თფილისის მუშათა დეპ. საბჭოს, სოც.-ფედერალისტთა პარტიას, ეროვნულ-დემოკრატებს, გაზ. „ალიონს", ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, ფოთის, გურიისა და სხვა სოც.-დემ. ორგანიზაციებს; ქუთაისის, ხონის, ბათუმისა და ლანჩხუთის სოც.-ფედერალისტებს; ოზურგეთის ქალთა წრეს და გურიის ყველა სარაიონო ორგანიზაციებს. სიტყვები წარმოსთქვეს მრავალმა ამხანაგებმა და სხვა-და-სხვა პარტიების წარმომადგენლებმა. ეგნატეს ბიძამ ალექსიმ სთხოვა ხალხს დაარსონ ს. ჩანჩეთში ეგნატეს სახელობის სკოლა. მიტინგმა სიამოვნებით მიიღო მოხუცის წინადადება და იქვე გაიმართა ხელის მოწერა სკოლის ფონდისათვის, შეგროვდა 1000 მან.

დასასრულ ამხ. ლეო რუხაძის წინადადებით მიტინგმა გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის განაჩენის წინააღმდეგ, რის შემდეგ თავმჯდომარის მოკლე, მაგრამ შინაარსიანი, სიტყვის შემდეგ ხალხი მუსიკითა და სარევოლიუციო სიმღერებით აწყობრათ დაიშალა.

ამავე დღესვე მიტინგის შემდეგ გაიხსნა ჩანჩეთის უფასო ეგნატეს სახელობის სამკითხველო.

ხუსეინ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

თფილისი.

22 მაისს მოხდა თფილისის ს. დ. ორგანიზაციის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. მ. ტოროშელიძე, მდივნობდა თ. ხუხუნაიშვილი.

გაირჩა: პოდრაიონი, კლუბი, არჩევნები ქალაქის თვითმართველობაში და საოლქო ყრილობა.

კრებამ დაადგინა ქალაქის თვითმართველობის არჩევნების გამო არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია. კომისიაში აირჩიეს: ამხ. ქ. გვარჯალაძე, თ. ხუხუნაიშვილი, თევზაძე, ს. გძელიძე და ვართანოვი. პოდრაიონის შესახებ კრებამ დაადგინა დაიყოს მეორე რაიონი 4 პოდრაიონათ. დაევალა ამხ. ნაცვალოვს, არველაძეს, ვართანოვს, ჟორდანიას, გაჩეჩილაძეს, თევზაძეს, თუმანოვს, კრინენის, ტოროშელიძეს და ბადრიძეს მოახდინონ წევრთა რეგისტრაცია მერვე, მეცხრე და მეათე უბნებში ამხ. ქ. გვარჯალაძეს დაევალა გამოიმუშაოს წესდება მუშათა კლუბების შესახებ.

საოლქო ყრილობის შესახებ კრებამ დაადგინა, ვინაიდან ამიერ კავკასიის ს. დ. მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი ივნისის პირველ რიცხვებში თფილისში ყრილობას იწვევს, რომელმაც უნდა გაარჩიოს მრავალი სერიოზული საკითხები—დაუყონებლივ შეუდგენ ყრილობის სამზადისს და დელეგატების არჩევას. დაევალა ამხ. ნ. ხომერიკს წინასწარ რაიონულ კრებაზე წაიკითხოს მოხსენება აგრარულ საკითხზე, ხოლო ამხ. ქ. გვარჯალაძეს კი ნაციონალ კითხვაზე.

თედ. ხუხუნაიშვილი.

დ. ხაშური.

ადგილობრივ რკინის გზის საკრებულოში 18 მაისს მოხდა ხაშურის რაიონის სოც. დემ. მუშათა პარტიის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო სამასამდე წევრი ორივე სქესისა. (ამ ჟამათ ხაშურის ორგანიზაციის გარშემო შეკავშირებულია 600 წევრამდე). თავმჯდომარეთ აირჩიეს ნიკ. იმნაიშვილი. დღიური წესრიგი იყო: თანამედროვე მომენტის საკითხები, ახალი წევრების მიღება და დამტკიცება, მომავალ პარტიულ ყრილობაზე დელეგატების არჩევა და სხვა. კრების გახსნისას თავმჯდომარე წინადადებას იძლევა: ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ ვერაგულათ მოკლულ ამხ. გუია რატიანის ხსოვნას, რომელიც შარშან 18 მაისს იქნა მოკლული დ. ხაშურში.

მოხსენებებს აკეთებენ ამხ. თეიმურაზ ჭუმბურიძე, ნიკ. იმნაიშვილი და სხვ. მოისმინა რა კრებამ ყველა მოხსენებანი, მცირე კამათის შემდეგ გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუციები. მომავალ პარტიულ ყრილობაზე დელეგატათ აირჩიეს კირილე ნინიძე, თეიმურაზ ჭუმბურიძე და ნიკ. იმნაიშვილი.

ნიკო გურული.

ს. წითელმთა.

ამ დღეებში აქ მოხდა ს. დ. წითელმთის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. დ. ერქომაიშვილი, მდივნათ ანდრო შალიკაძე. დაესწრო 53 წევრი. კითხვები იყო: კოლექტივის არჩევა, საწევრო ფული და სხვ. მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია კოლექტი-

ვში დ. ერქომაიშვილი, ან. შილაკაძე, ლ. ზომერიკი და თედორე ჩიტაიშვილი. კანდიდატებათ: ისიდორე შილაკაძე, ფილიპე ხინთიბიძე და ნესტორ ლომჯარია. ამის შემდეგ კრებამ განიხილა საკითხი საწევრო გადასახადის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა: ახლათ მიღებულ წევრებმა გადიხადონ ერთდროულათ 75 კაპ., ხოლო თვიური საწევრო 25 კაპ. სულ პირველათ პარტიაში შემოსვლისას 1 მანეთი. კრებამ გადასწყვიტა მიიღონ ქალებიც პარტიაში. ამ დღეებში აქ წაიკითხება პროგრამულ საკითხებზე რეფერატი.

მახარაძე.

ხოფ. აჭიყაბული. 19 მაისს აქ გაიმართა კრება, რომელიც მოწვეული იყო ადგილობრივ სოც. დემოკრ. ორგანიზაციის მიერ. ამხ. კანკავამ მოხსენება წაიკითხა, გაარკვია ჩვენი პროგრამა და აუხსნა დამსწრეთ თუ რას მოითხოვს ს. დ. პარტია. შემდეგ წაიკითხეს სოც. დემ. პროგრამა და თითეული მუხლი ცალცალკე გაარკვიეს.

ილია კეხაშვილი.

რევოლიუცია პროვინციაში.

დუშეთის რაიონის გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომები (ოქმებიდან. გაგრძელება). სხდომის განახლებისას კრება შეუდგა დღის წესრიგში აღნიშნულ საკითხების გარჩევას.

თავმჯდომარე ვრცელ მოხსენებას აკეთებს დუშეთის მაზრაში მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ შ. ჯავახიშვილი ცოტა ხნით სტოვებს კრებას და სიტყვას ამბობს პროპაგანდისტი პ. მანჯგალაძე; ის adარებს ყოფილ კომისარის ქიაბრიშვილის მოღვაწეობას, შ. ჯავახიშვილის დანიშვნის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას და ხაზს უსვამს იმას, რომ ქიაბრიშვილი თავისი თანამშრომლებით ხელს უშლიდა რევოლიუციის გაღრმავებას, ამწვავებდა ეროვნებათა შორის დამოკიდებულებას, იფარავდა გლეხობას რევოლიუციონურ ორგანიზაციების გავლენისაგან, შეადგინა მილიცია ყოფილ სტრაჟნიკებისაგან, დააპატიმრა და დუშეთის მაზრიდან განდევნა-გაძევება მოუნდომა თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს პროპაგანდისტს, შეადგინა სოფლებში კომიტეტები მღვდლების და ყოფილ მამასახლისებისაგან, აუქმებდა სოფლის კომიტეტებს კრებები. ამხანაგ ჯავახიშვილმა კი—განაგრძობს ორატორი—შედარებით მოკლე დროს განმავლობაში შესძლო სიმშვიდე შეეტანა საზოგადოებაში და შექმნა დემოკრატიული ორგანიზაციები მთელ მაზრაში. ერთი დამსწრეთაგანი უკმაყოფილებას გამოსთქვამს ქიაბრიშვილის პიროვნების ცუდათ მოხსენების გამო, მაგრამ მას განუმარტეს, რომ ქიაბრიშვილის პიროვნების წინააღმდეგ არავის არაფერი უთქვამს აქ, მხოლოდ ეხებოდენ მის მოღვაწეობას.

კრება უცხადებს შ. ჯავახიშვილს სრულ ნდობას და მადლობას. ადგილობრივი სამმართველოების მოწყობის დროს იხელმძღვანელოს ამიერ კავკასიის კომისარიატის დადგენილებით, ხოლო ის ორგანიზაციები, რომელნიც უკვე შექმნილა და მოქმედობს დარჩეს ძალაში. კრებამ აგრეთვე სასურველათ სცნო, რომ სწარმოებდეს პროპაგანდა დედაკაცთა შორის, რათა იმათაც მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში მამაკაცებთან თანასწორი უფლებით.

სარაიონო (საბოქაულოს) ფარგლებში კომიტეტების შესახებ კრება იმ აზრს დაადგა, რომ დუშეთის მაზრა დაიყოს ოთხ რაიონათ როგორც იყო ძველათ ოთხ საბოქაულოთ დაყოფილი.

მ. კლიმიაშვილმა გააკეთა მოხსენება აგრარულ საკითხის შესახებ. რაც შეეხება საუდელო, სახაზინო მიწებს, კრებამ დაადგინა, რომ ეს მიწები უნდა გადაეცეთ გლეხებს უსასყიდლოთ. პ. მანჯგალაძე მოხსენებას აკეთებს მომენტის შესახებ.

სასურსათო საკითხის შესახებ ილაპარაკა კლიმიაშვილმა.

მილიციის ორგანიზაციის შესახებ მოხსენება წაიკითხა ლ. მამულაშვილმა.

კრებამ გამოთქვა სურვილი დაენიშნოს უფროს მილიციონერს თვეში 120 მან. ცხენოსანს 100 მ. და სხვებს 80 მან.

რადგანაც სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოს არ შეუძლიან მუდმივათ იმყოფებოდეს დუშეთში, ამისათვის საბჭო ირჩევს სამი კაცისგან შემდგარ ბიუროს 1) ტატე მუშიაშვილს, 2) კოლა ალამაზიშვილს და 3) თედო ბერძნიშვილს, ამავე ორგანიზაციებს დაევალოს თვალ-ყური ადევნონ მევახშეებს და სპეკულიანტებს.

ტყეების დაცვისა და საბალახოებით სარგებლობის შესახებ საბჭომ დაადგინა: რადგანაც ტყეების დაცვა და გონივრული სარგებლობა დღეს ადგილობრივ მცხოვრებთათვის ფრიად საყურადღებო საგანს წარმოადგენს—ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ მათ დაცვის საქმეში. აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა თვალ-ყური ადევნონ სახაზინო და კერძო ტყეების დარაჯებს და ნება არ მისცენ მათ ტყეების გაკაფვისა. საბალახოების საკითხის მოწესრიგებაც ევალება ადგილობრივ კომიტეტებს. სოფლის ნახირის საძოვრებში არაფერი არ უნდა გადახდეს, ხოლო კერძო მესაკუთრეებს, რომელთაც დიდი ნახირი ან ცხვრის ფარები ჰყავთ უნდა იხადონ საბალახო.

როგორც გამოირკვა ზოგიერთ ეროვნებათა შორის მთელ მაზრაში დამოკიდებულება გამწვავებულია. ამიტომ საბჭომ საჭიროთ დაინახა ამორჩეული იქნას საგანგებო კომისია და მას მიენდოს მაზრაში ერთა შორის უთანხმოების გამორკვევა და მათ შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება. კომისიას ნება ეძლევა მოიწვიოს სხვებიც დასახმარებლათ კომისიაში აირჩიეს შ. ჯავახიშვილი, ვანო ტატიაშვილი და გ. შანიძე.

საკითხი სამღვდელოების და მათი შენახვის შესახებ გადაეცეს სარაიონო და სასოფლო კომიტეტებს კითხვის ადგილობრივათ გამოსარკვევათ და გადასაწყვეტათ.

ამის შემდეგ გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოს სხდომა დაიხურა დილის 11 საათზე.

ცხინვალის რაიონი. 18 მაისს მოხდა ცხინვალის რაიონის გლეხთა საბჭოების წარმომადგენელთა კრება. კრებას დაესწრო შვიდი საზოგადოების და 34 სოფლის წარმომადგენელი. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ილია მაჭავარიანი, მდივნათ ოლღა სოლოღაშვილი. კრების მოწვევის და მისი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ცფურემიძემ. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: ჩვენი ტაქტიკა, ომი და ზავი, აგრარული საკითხი, დამფუძნებელი კრება, ადგილობრივი თვითმართველობა, სამაზრო კომიტეტის შედგენა, ტყის საკითხი და წარმომადგენლების არჩევა მუშათა და გლეხთა ყრილობაზე გასაგზავნათ. ყველა ზემო-ჩამოთვლილ კითხვებზე კრებამ მსჯელობა იქონია და რეზოლიუციებიც გამოიტანა. ბოლოს დელეგატებათ აირჩიეს ილ. მაჭავარიანი და პორფირე ცფურემიძე.

თ. ხ.

ფოთი. ს. დ. პ. ინიციატივით ორშაბათს, 22 მაისს 5 საათზე მოწვეულ იქნა საპროტესტო მიტინგი ავსტრიის ჯალათების მიერ გამოტანილი განაჩენის, რომლითაც ცნობილ მებრძოლს, სოციალ-დემოკრატს ფრიდრიხ ადლერს სიკვდილით დასჯა გამოუტანა.

ხალხი ბლომათ მოვიდა. კრება გახსნა ექიმ შამშე ლეჟავამ, რომელმაც გააცნო ხალხს მიზანი ყრილობისა და შემდეგ მოუწოდა აერჩიათ კრების თავმჯდომარე. კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ ამხ. პროკოფი დოლიძე. უკანასკნელმა მკაფიოთ განუმარტა ხალხს კრების მიზანი და დაუხასიათა ადლერის პიროვნება. ამის შემდეგ პირველად ქართულ ენაზე ილაპარაკა ექიმ შამშე ლეჟავამ, შემდეგ ილაპარაკეს სხვა და სხვა პარტიათა წარმომადგენლებმა. კრებამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია.

ვეზუვი.

ჭიათურა. მუშათა საბჭოს ერთ უკანასკნელ კრებაზე სასოფლო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ არჩევნების დროს სოფლებში ადგილი ჰქონია პარტიებს შორის ერთი მეორის წინააღმდეგ ისეთ აგიტაციას, რომელიც საერთო დადგენილებას არღვევს. ამის გამო მ. დ. ს. აღმასრ. კომიტეტმა 17 მაისს მოიწვია ჭიათურაში არსებულ ყველა პარტიების წარმომადგენელნი სათათბიროთ. ამხ. ზ. გურულის ვრცელი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მართლაც ერთი მეორის წინააღმდეგ გამოსვლა ხდება. ეს გამოიხატება ერთი მეორის არა სასურველ დახასიათებაში. ს. დ. მიმდევრებიდან ასეთები შეუგნებელნი არიან და ასეთებს ყველგან თვით ს. დ. არჩევენ, მაგრამ ირკვევა ნაციონალისტების მხრივ კი ამ ნაირ გამოსვლებს აწარმოებენ შეგნებული პირები და ხშირად გავლენიანებიც. კამათის შემდეგ წარმოადგინეს რეზოლიუცია, რომლითაც ევალებათ ყველა პარტიის კომიტეტებს ამისთანა გამოსვლების წინააღმდეგ ზომები მიიღონ. მეორე კითხვა იყო ჭიათურის ახალი აღმასრულებელი კომიტეტში ადგილების განაწილება. ს. დ. ასეთი წინადადება შემოიტანეს: (11 წევრი და 3 კანდ. 2 წევრი ს. ფ. 2 ს.-რევ. 1 ნაც. დემოკრატებს და 1 უპარტიოებს და 3 კანდიდატის ადგილი კი ნაწილდება სამ უმთავრეს პარტიათა შორის ე. ი. ს. დ. ს. რ. და ს. ფ. შორის. დანარჩენი 6 ს. დ. ამნაირი განაწილებით პარტიის წარმომადგენლები კმაყოფილნი დარჩენ და თანაც აღიარეს, რომ ს. დ. შეეძლოთ არც ერთი ადგილი არავისთვის არ დაეთმოთ. მხოლოდ ნაც. დემ. წარმომადგენელმა ითხოვა მეორე ადგილიც. ამ განაწილების მიხედვით პარტიები თავის კანდიდატების სიას და ვინაობას უდგენენ მ. დ. საბჭოს, რომელიც იტოვებს უფლებას ესა თუ ის კანდიდატი არ დაამტკიცოს.

ხ.

ახალდაბა. (სამ. სუმბათოვი). ახალდაბის მღვდელს, ტარასი ვეფხვაძეს, აღმოაჩნდა ახალდაბის მომხმარებელ საზოგადოება „იმედი"-ს სახარაზოდან წაღებული ოთხი ცალი ჩუსტის ტყავი. მღვდელი ტარასი ვეფხვაძე სახარაზოში მომუშავე ხარაზ გაჩეჩილაძის მოთხოვნით გაჩხრეკილ იქნა. საქმე გაარჩია სუმბათოვის აღმასრულებელმა კომიტეტმა. მღ. ტარასი ვეფხვაძე დამნაშავეთ იცნო და წინადადება მისცა თავის ნებით დაანებოს ახალდაბის მრევლს თავი.

გიორგი აბრამიშვილი.

ს. საჭილაო. 30 აპრილ მოიწვიეს მიტინგი, კომიტეტის ასარჩევათ. მიტინგს დაესწრო 663 კაცი და ქალი. კრება გაიხსნა ადგილობრივი კომისრის, ასათიანის ხელმძღვანელობით. თავმჯ. აირჩიეს პ. ტახია, მდივნათ ე. გორიძე. კრებას დაესწრნენ მაზრის ყველა პარტიებიდან წარმომადგენლები. ადგილობრივმა ს. დ. პარტიამ წარუდგინა კრებას თავიანთი სია, ამ გვარი გამოსვლა არ ესიამოვნათ ზოგიერთებს, ასტეხეს აურ-ზაური, ზოგს ჩუმად, ზოგს აშკარათ ეუბნებიან ვინ არის პარტია, რა პარტია უნდა იყვესო, შეუგნებელი პირები აქაც აღმოჩდენ და მოითხოვეს კანდიდატების კუთხურათ არჩევა და წამოაყენეს კიდეც, მაგრამ დახეთ უბედურებას, ამ სიაშიც მოყვნენ მათთვის არა სასურველი პირებიც. ამას მოყვა ხელმეორეთ კვილი წივილი. ამ საქმეში ისახელეს თავი იმ პირებმა, რომლებიც ერთი კვირის წინეთ დატყვევებული იყვნენ, მაგრამ აბაშის რაიონის კომისარიატის წყალობით გაინთავისუფლეს.

მეზობელი.

პროვინციის ცხოვრება.

ხოფ. ზიარი (გარე კახეთი). სოფ. ზიარში 22 მაისს ჩვეულებრივი საეკლესიო დღეობა უსინეთობა გაიმართა. დღეობაზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დამსწრეთ შორის თფილისიდან მოსული პირებიც კი იყვნენ. გაიმართა ტრადიციული მხიარულობა გართობა. საზოგადოთ ხალხი მშვიდობიანობას არ არღვევდენ და ყველა თავისებურათ ერთობოდენ. მხოლოდ წესრიგი და საერთო მხიარულება მილიციონერებმა დაარღვიეს. ღვინით შეზარხოშებულნი მილიციონერები სახელდობრ ლევისო ფროლდიაშვილმა და მელ. კუპრაშვილმა თოფების სროლა ასტეხეს და დამსწრე საზოგადოებას თავზარი დასცეს. მათ უმგვანო საქციელმა აღაშფოთა ხალხი. ზოგიერთები გაბედულათ წინ აღუდგენ მილიციონერებს და გადაჭრით მოსთხოვეს თოფის სროლა შეეჩერებინათ. ასეთი სამართლიანი დარიგება მილიციონერებმა იუკადრისეს და დამრიგებლებს ალექსი ზირახაშვილსა და ერთ ჯარის კაცს თოფის კონდახით ცხვირ-პირი ჩამტვრიეს. გალახეს აგრეთვე სხვა რამდენიმე პირიც. ხალხი აღშფოთებულია მილიციონერების ასეთი კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებით და მოითხოვენ მათ დაუყონებლივ გადაყენებას. საჭიროა მაზრის კომისარებმა შესაფერი ყურადღება მიაქციონ ზევით დასახელებულ მილიციონერების თავგასულობას.

ჯ.-კ. ნ. ბარნაბიშვილი.

ჭიათურა. 21 მაისს ე. ნინოშვილის გარდაცვალებიდან 23 წლის თავის აღსანიშნავად ჭ. ს. დ. მ. პ. კომიტეტმა დაადგინა: გაგზავნილი იქნეს ამხ. შ. ჯაფარიძე ეგნატეს სამშობლო სოფ. ჩანჩეთში, ხოლო ჭიათურაში გაიმართოს სამოქალაქო პანაშვიდი რკინის გზის სადგურზე. პანაშვიდს ბლომა ხალხი დაესწრო. პირველად ამხ. ალ. მითაიშვილმა მოკლე შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა, დაახასიათა მისი ნაწერების უმთავრესი გმირები და მასთან აღნიშნა ნინოშვილის ღვაწლი მუშათა კლასის გათვითცნობიერებაში. შემდეგ სიტყვა წაიკითხა ალ. ხაბულიანმა.

დასასრულ გრძნობიერი სიტყვით მიმართა დამსწრეთ ზ. გურულმა.

პანაშვიდის შემდეგ პროცესია ე. ნინოშვილის ლამაზად მორთულ სურათით და დროშით წამოვიდა ს. დ. ბიუროსაკენ. აქედან გაიმართა საპროტესტო მანიფესტაცია ფრიდრიხ ადლერის სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ.

ვ. წ—ლი.

ს. შემოქმედი. 10 მაისს მიწას მიაბარეს ადგილობრივი მცხოვრები, რ. ს. დ. მუშათა პარტიის თვალსაჩინო წევრი და საზოგადო მოღვაწე ექიმი მიხაკო ყურაშვილის ძე ცეცხლაძე, რომლის დასაფლავებას, მიუხედავათ ცუდი ამინდისა დაესწრო დიდძალი ხალხი. გურიის რ. ს. დ. მუშათა პარტიის სახელით გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა განსვენებულს გ. კოპლატაძემ, გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა აგრეთვე კ. ქვთარაძემ და სხვ. განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავათ მშობლებმა შემოსწირეს, მომავალ შემოქმედის სამეურნეო სასწავლებელს 100 მან. 50 მან. გაზეთ „ერთობას" ფონდის გასაძლიერებლათ, ხოლო 50 მან. ოზურგეთის ს. დ. ორგანიზაციას. ამავე დღეს განსვენებულის ნათესავების მიერ შეგროვილ იქნა 100 მან. მდ. ქუბუ ხიდის გასაკეთებლათ 50 მ. ს. ხონელიძემ, და მღ. ანტონ ცეცხლაძემ, მელიტონ დუმბაძემ ოც-ოცი მან.

ანდ. წითელმთიელი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

ყველასათვის ცხადია, თუ რანაირათ საჭიროებს აჭარლები სწავლა განათლებას და მეტადრე მათი ქალები. გასულ წელს ზაფხულში ერთი თვით ზემო აჭარაში ვიყავი. იქაურ ქალებს კარგად დაუახლოვდი. მოზრდილმა ქალებმა მთხოვეს ეს ზაფხული მათთან გამეტარებია. შემესწავლებინა წერა-კითხვა და ხელთ-საქმე. მეც შევპირდი, ათი ივნისიდან მინდა შევუდგე დანაპირების შესრულებას. მე მზად ვარ ჩემი შრომა უსასყიდლოდ შევსწირო, მხოლოდ ხელს მიშლის სასწავლო ნივთების უქონლობა. უმორჩილესათ ვსთხოვ ყველა იმ პირთ, ვისაც კი გული შესტკივა და მეტადრე ქალთა საზოგადოებებს, მომცენ დახმარება; მომაწოდონ სასწავლო ნივთები, რაც საჭირო არის პირველ-დაწყებითი სწავლისათვის და ხელთ საქმისათვის. იმედი მაქვს შემოწირულება უნაყოფოდ არ ჩაივლის. აჭარელი ქალებიც წახალისდებიან და იწყებენ გამოფხიზლებას. შემოწირულება გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: Хуло—Бат. об. Учительницѣ Маріи Долидзе.

გაზეთ „საქართველო"-ს 103 ნომერში ბ. დ. ფალავანდიშვილმა მოათავსა ყოვლად უსაფუძვლო და აღმაშფოთებელი წერილი—ვითომ ხაშურიდან მისულ მუშებს და რუს ჯარისკაცებს აეწიოკებინოს ბ. ფალავანდიშვილის და სხვების ოჯახობა და იარაღი აეყარათ მცხოვრებთათვის. ამის გამო ხაშურის რაიონის მუშათა დეპუტატების საბჭომ მომანდო განვაცხადო შემდეგი: მართალია მუშები და ჯარისკაცები დადიოდენ სოფლათ იარაღის ჩამოსართმევათ, მაგრამ იარაღს ართმევდენ ყველას კი არა, არამედ იმ მემამულეებს, რომელთაც იარაღის საწყობი აქვთ და თავისი ხულიგანობით საშიშნი არიან. ასეთია მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილება, რომელიც ხაშურის კომიტეტის აღმასრულებელმა ბიურომ დაადასტურა.

ამას გარდა არავინ არ აუწიოკებიათ და თითონ ფალავანდიშვილის სახლში პატარა ბავშვები კი არ იყვნენ იქ მისვლისას, როგორც ამას ბ. ფალავანდიშვილი ბძანებს, არამედ მოზრდილი შვილები და არც არავითარ ჩხრეკას იქ ადგილი არ ქონია.

მუშათა დეპუტატების საბჭო თავის გულისწყრომას უცხადებს ბ. ფალავანდიშვილს და გაზეთ „საქართველოს" ცრუ ხმების გაზეთში გამოქვეყნებისათვის. ეს წერილი მით უფრო შეუწყნარებელია, რომ სახეში ამოუღიათ კერძო პირები, რომელნიც საბჭოს დადგენილებისათვის პასუხს ვერ აგებენ, გარდა ამისა წერილში მოხსენებულმა ორმა პირმა—მდივანმა და ხიდირბეგიშვილმა არცკი იციოდენ იარაღის ჩამორთმევის ამბავი.

„საქართველომ" უნდა შეიგნოს, რომ ცრუ ამბების მოჩმახვით ის შეცდომაში ვერავის შეიყვანს და მხოლოდ დემოკრატიის ზიზღს დაიმსახურებს.

ხაშურის მუშ. დეპ. საბ. მონდ.
ქ. ნინიძე.

„ერთობის" № 45-ში მოთავსებულია ტრაპიზონის ახალ დაბა ელიოს საავადმყოფოში გარდაცვლილა ჯარის კაცი ვასილი გლახუნისძე დოლიძე, ვსთხოვთ დამწერს შეგვატყობინოს რომელი სოფლის ან საზოგადოების არის გარდაცვლილი დოლიძე. ცნობის გამოგზავნა შეიძლება მისამართით: დ. ჩოხატაურში ასალო ანდრიასძე ცინცაძეს.

გაახლებთ 229 მან. 50 კ. და გთხოვთ გადასცეთ პეტროგრადში მუშათა საბჭოს, თავისუფლებისათვის დახოცილთა ცოლ-შვილის ფონდის გასაძლიერებლათ; რომელიც მოგროვდა თანახმათ სუფსის რაიონის კრების გადაწყვეტილებისა სუფსის კოოპერატივში. ამას გარდა შეგროვდა რვა ფუთამდე ტყემლის ტყლაპი და სიმჟავე, რომელიც გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

მონდობილობით პ. ტუღუში.

„ზვირთის" № 83-ში წერილია მოთავსებული ვიღაც „განი"-ის. ამ წერილში ის მე შეუგნებელს, უვიცს, ძველი მთავრობის მომხრე კაცუნას და სხვა რამეს შემძახის და ბოლოს ამბობს, რომ მე ვითომც უსაბუთოთ დამეტუსაღებინოს მასწავლებელი. მართალია მე დავატუსაღე მასწავლებელი, მაგრამ იმიტომ, რომ ის ხალხში ძველ მთავრობას აქებდა. ბოლოს გამოირკვა, რომ მასწავლებელი მთვრალი იყო და გაუნთავისუფლე.

რაც შეეხება იმ ბრალდებებს, რომელსაც ის მიყენებს მე მოვითხოვ დამიმტკიცოს სამედიატორო სასამართლოში. მე ჩემის მხრით დავამტკიცებ იმას, რომ მე მართალი ვიყავი მაშინ, როდესაც მასწავლებელი კანცელარიაში გავგზავნე.

ია. პავლიაშვილი.

თებერვლის პირველ რიცხვებში, გაქანებულ მატარებლის ქვეშ მოჰყვა და გადასჭრა ტომსკის რკინის გზის ლიანდაგზე მომუშავე პოლიტიკური დამნაშავე ანტონ ბასილაია. განსვენებულს აღმოაჩნდა სახლიდან გამოგზავნილი წერილები, რომელშიაც ატყობინებენ, რომ ფული და პასილკა გამოგზავნილია იმ ვოლოსტში, სადაც იყო განსვენებული მიწერილი. ამის და მიხედვით ვატყობინებ გარდაცვალებულის ჭირისუფლებს, მოითხოვონ უკანვე ფულიც და პასილკა. ადრესი: სოფ. ჩერემხოვო, ბოლშაია შიბენსკაია ქუჩა, სახლი № 65.

ამხანაგების მონდობილობით **ევანიკოს აბრამიშვილი.**

ასკანის სამკითხველოს შემოსწირეს: ბ. რაჟდენ კილურაძემ ხუთი მანეთი და ბ. ვლადიმერ გიორგაძემ ათი მანეთი, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვსწირავთ.

სამკითხ. მოლარე მღ. **ერმოლაოზ ჯაველიძე.**

გერმანე ვასილის ძე დათუნაშვილი მსახურობდა მე-12 კავკასიის მსროლელთა დრუჟინაში ქ. რიზეში, რომელიც გარდაიცვალა და მათმა ამხანაგებმა მოაგროვეს ფული სამშობლოში გამოსასვენებლად, მე-12 დრუჟინის ამხანაგებმა 171 მ. 95 კ. ამავე ქართველ რუს და მუსულმან ამხანაგებიდან 40 კაცისაგან 121 მ. 30 კ. სულ 293 მ. 25 კ. უცხადებთ დიდ მადლობას ყველას.

გოგოლა დათუნაშვილი, ხამოელ გოგიჩაშვილი.

ამ წლის პირველ მაისიდან სოფ. იანეულში (გურია) გაიხსნა უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო, რომელიც უსახსრობის გამო საჭიროებს დახმარებას. ამიტომ მოუწოდებთ ყველა იმ პირებს, ვისაც გული შესტკივა ამ საქმისათვის გთხოვენ დაეხმაროთ ფულით, წიგნებით და სურათებით, რაზედაც დაგზავნილი იქნება მოწოდება სამკითხველოს ბეჭდით დასმული. იმედია სოფ. იანეულიდან წასული პირები სხვადასხვა ქალაქებში გაგვიწევენ დახმარებას. ფული გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: М. Чохатауры, Автову Цинцадзе.

ჩვენი ფოსტა.

ჩვენს კორესპოდენტებს. დაგვიანებულ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს და არც ინახავს. ვრცელ წერილებს ამოკლებს. ამიტომ რედაქცია გთხოვთ გამოგზავნოთ წერილი მოკლეთ, სუფთათ და გარკვევით დაწერილი. ყურადღება მიაქციეთ ს.-დ. პარტიის ცხოვრებას, გლეხთა მოძრაობას და მუშების მდგომარეობას.

რედ.-გამომცემელი **ვლ. მ. ბოხოხაძე.**

ექიმი გ. მ. მეხაძე
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართით: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზმიშვილის ქუჩა, № 19.

გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით. აგრეთვე ყოველნაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავის ლეუშიერენის, —ტრიპით, დიდი სალინოიდი სპეციალური მიღება და არსონვალის ტოკით ფილტვების ავადმყოფობისათვის, გულისათვის, არტერიოსკლეროზისათვის და აგრეთვე მაგარის ჭლექების, სისხლ ნაკლებობის, ჟძილობის, წევრადეგისათვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ნევრასთენიის, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

სტუდენტი პეტროგრადის უნივერსიტეტის
(ყოფილი მასწავლებელი)
ამზადებს ყველა უწყების პირველ-დაწყებითი, დაბალი და საშუალო სკოლებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხი და წოდებაზე. ვერა, ყაზბეგის ქუჩა, № 5.

ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი პ ი გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვიტცე სალისგვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს **ბავშვთა** და **შინაგანი** სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი
ექიმ ბ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა· რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1